ალია

## ვინ და რატომ გააძვირა საავტომობილო გაზი?



N120/3050/ 6 აგვისტო 2014 წ | ფასი 1 ლარი
ორშაბათი ქრონიკა | სამშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია
WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

## რა პროვოკაციებით აპირებენ „ნაციონალები“ ხელისუფლებაში დაბრუნებას



## ორი საფრთხე სააკაშვილისთვის

რატომ ხდება მისთვის სახიფათო გაერო და აშშ

## პედაგოგები საპროტესტო აქციებისთვის ემზადებიან?

## იმ კვირიდან „სითი პარკს“ თბილისიდან აძევებენ






## რა ინანა ბიძინა ივანიშვილმა „სახალხო კრებასთან“ შეხვედრაზე?

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


# ვინ და რატომ გააძვირა საავტომობილო გაზი?

**თითქმის ყველა კომპანიაში ავტოგაზის ფასი 5 თეთრით გაიზარდა და 1.10 ლარი გახდა. „სოკარში“ გაზის ღირებულება 98 თეთრიდან 1.09-მდე მერყეობს.**

**„ალიას“ ესაუბრება ეკონომიკის ექსპერტი დემურ გიორხელიძე:**

– ამ შემთხვევაში ავტოგაზის გაძვირების მიზეზი არის მხოლოდ სახელმწიფოს, მთავრობის სისუსტე და რეგულაციების არარსებობა. ადამიანები, რომლებსაც ხელში აქვთ რესურსი, ისე იქცევიან, რომ თავიანთი მოგება მაქსიმალური გახადონ. ფასები ისედაც „ჭერს ურტყამს“ საქართველოში, გადამეტებულია ყველანაირ ნორმებს, ახლა ნავთობზეც შეთამაშდა საერთაშორისო ფასები კლებისკენ, მაგრამ საქართველოში, როგორც მოსალოდნელი იყო, გაძვირებულ საწვავის ფასს ფეხს არ უცვლიან. როდესაც ისევ დაიწყებს მსოფლიო ბირჟებზე საწვავის ფასი ზრდას, იმავე წუთში ქართული კომპანიები გაზრდიან ფასებს, დაკლება კი არავის უნდა. მოკლედ ასეა, როდესაც ქვეყანაში არ არსებობს ცივილიზებული რეგულაციები და ცივილიზებული თამაშის წესები, კომპანიებს რა დავაბრალოთ? მათ უნდათ მეტი მოგება, ამის საშუალებას ხელისუფლებაც აძლევთ და ისინიც უმატებენ ფასს, რა დაუდგებათ წინ, სინდისი თუ ნამუსი? ამიტომ ავტოგაზზე ფასის მომატების ლოგიკაც ეს არის და არა სხვა რაიმე კონკრეტული ობიექტური მიზეზი.

**— ფასის მომატება ხომ არ უკავშირდება აზერბაიჯანისა და სომხეთის სამხედრო კონფლიქტს, რომელიც რამდენიმე დღის წინ კიდევ უფრო გამწვავდა? ამ კითხვას იმიტომ გისვამთ, რომ ერთი თვის წინ, როდესაც საწვავის ფასმა მოიმატა, ქართული კომპანიების წარმომადგენლებმა მიზეზად ერაყის ომი დაასახელეს, რეალურად კი მიზეზი ერაყის ომი არ ყოფილა, რადგან ქვეყანამ უფრო გაზარდა ნავთობის მოპოვება და დეფიციტის არანაირი საშიშროება არ არსებობდა.**

– დღეს აზერბაიჯანს არ აქვს იმის პრობლემა, რომ საომარი მოქმედებების გამო საქართველოში ავტოგაზის ფასი 5 თეთრით გაზარდოს, ვინაიდან ამ შემთხვევაში 5 თეთრით საომარი მოქმედებების დროს მიღებული ზარალის დაფარვა უბრალოდ სასაცილოა. თუმცა არც იმას გამოვრიცხავ, რომ საერთო დესტაბილიზაციის ხარჯზე არის შანსი, ფასებმა მოიმატოს. ჩვენები ხომ ყველაფერში პირველები არიან და ამათ ყველას დაასწრეს.

**— ფიქრობთ, რომ არასტაბილური მდგომარეობით სარგებლობენ კომპანიები, რათა გადაწყვეტილების გასამართლებელი მიზეზი ჰქონდეთ?**

– მათი ქმედება, ფასის მომატება სწორედ ამას ჰგავს, როცა რეალური მიზეზი ავტოგაზის გაძვირებისა არ არსებობს. ამ დაძაბულ ვითარებაში ფასის მომატების არგუმენტი უფრო ადვილი მოსაძებნია.

**— როდესაც ნავთობის ფასი იმატებს, საქართველოშიც მომენტალურად ხდება ფასების მატება, მაგრამ კლება აღარავის ახსენდება. იგივეს უნდა ველოდოთ გაზზეც?**



– ეს პრაქტიკა ძალიან მყარია საქართველოში, ამით სარგებლობენ მსხვილი კომპანიები და პროგნოზიც ასეთი მაქვს, რომ არაფერი არ შეიცვლება. ჩვენთან ფასები მხოლოდ ერთი მიმართულებით მოძრაობს, ზრდისკენ. ფორმალური კლებები სიმბოლური ოდენობით თამაშის წესს არ ცვლის. ეს დიდი მოგებებია და დიდი მოგება დიდი ფულია, სადაც დიდი ფულია, იქ დიდი ინტერესია.

**— თქვენ მუდმივად ადანაშაულებთ ხელისუფლებას ფასების უკონტროლო და დაუსაბუთებელი მომატების გამო. მთავრობას ამ შემთხვევაში რის გაკეთება შეუძლია?**

– ეს ბაზარი საკმაოდ ჩაკეტილია, აქ ინტერესების დიდი კონცენტრაციაა, საჭიროა ბაზრის გახსნა, რაც დღევანდელ სიტუაციაში ნაკლებ სავარაუდოა. ამიტომ საუბარი იმაზე, რომ ბიზნესი თავისუფალია და ბაზარზე კონკურენცია მაღალია, არაფერს ცვლის, რადგან რეალობა სხვაა. ეს არის გავლენის სფეროების ბიზნესი, სადაც დიდი ფული ტრიალებს და ამიტომ არავინ არ არის დაინტერესებული ბაზარზე ახალი, უფრო ძლიერი მოთამაშე გამოჩნდეს. ამის საშუალებას არც არავინ მისცემს ახალ მოთამაშეს, რადგან მას ბანკი ფულს არ მისცემს, ჩემოდნებით კი ეს ბიზნესი არ კეთდება.

„ბუნებრივი აირით მოსარგებლეთა ასოციაციაში“ განმარტავენ, ფასების მატება რომ არ მომხდარიყო, ბევრი კომპანია იძულებული გახდებოდა, გაჩერებულიყო და გაკოტრდებოდნენო. ერთადერთი კომპანია, რომელიც ავტოგაზზე ფასს არ აძვირებდა, „სოკარი“ იყო, შესაბამისად, ფასს ვერ აწევდნენ შედარებით მცირე კომპანიები, რაც მათთვის წამგებიანი იყო. ახლა კი „სოკარიც“ თანახმაა, ფასი გაზარდოს.

„ალია“ დაინტერესდა, რა გახდა ავტოგაზზე ფასის მომატების მიზეზი, თუმცა კომპანიები ამ განმარტების გაკეთებისგან თავს იკავებენ. „სოკარში“ აცხადებენ, რომ ერთადერთი პირი, ვინც ამ მიზეზებს განმარტავს, კომპანიის მარკეტინგის სამსახურის უფროსი ირაკლი ზუბიტაშვილია, რომელთან დაკავშირებაც შეუძლებელი აღმოჩნდა როგორც „ალიასთვის“, ასევე „სოკარის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსისთვის, მას მობილური ტელეფონი გამორთული ჰქონდა.

გაზზე ფასის მომატებას უკვე მოჰყვა უარყოფითი შედეგი. ჩვენ ტაქსის მძღოლებს გავესაუბრეთ, რომლებიც აცხადებენ, რომ მათ მოუწევთ მგზავრობის საფასურის გაზრდა. „შეიძლება 5 თეთრით ფასის მომატება არაფერს ნიშნავს, მაგრამ როცა 24 საათის განმავლობაში მოძრაობ და სისტემატურად გიწევს გაზის შეძენა ეს თანხა თვის ბოლოს უკვე ბევრია. მოგვიწევს ფასის გაზრდა, რადგან მოგება ისედაც ცოტაა. მთელი დღე დავდივართ და შეიძლება დღეში 4-5 მგზავრი აიყვანო, აღებული თანხა კი ისევ გაზის შესაძენად გვჭირდება. ეს არ იქნება მნიშვნელოვნად გაზრდილი, თუმცა მოიმატებს“, – ამბობს „ალიასთან“ საუბრისას ტაქსის მძღოლი ტარიელ შუშტაკაშვილი. რაც შეეხება ტაქსის გამოძახებას ცხელი ხაზის საშუალებით, კომპანიებში კომენტარისგან თავს იკავებენ და აცხადებენ, რომ ამ თემაზე საუბარი ჯერ ნაადრევია, თუმცა, თუკი ავტოგაზის ფასი კიდევ მოიმატებს, მაშინ მოუწევთ მგზავრობის ღირებულების გაზრდა.




შორენა გოგოლაძე
599 22 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „პრემიერმა წინასწარ იცის, რა ხდება პროკურატურაში, რაც კანონდარღვევაა“



საპარლამენტო უმცირესობის წევრი ზურაბ ჯაფარიძე ვალერი გელაშვილის ცემის ფაქტზე მიხეილ სააკაშვილისა და ვანო მერაბიშვილისთვის ბრალის წარდგენის ფაქტს ეხმაურება. მისი თქმით, აღნიშნული საქმე პოლიტიკურად მოტივირებულია და ეს პრემიერს უკვე დაანონსებული ჰქონდა.

„ცხადია, ეს საქმეც არის ცალსახად პოლიტიკურად მოტივირებული და ამაში ეჭვი არავის ეპარება. ამაზე საუბრობს ძალიან ბევრი ჩვენი პარტნიორი დასავლეთში. მეორე საკითხია ის, რომ, როდესაც პრემიერი ამას აანონსებს, ეს ნიშნავს, რომ მას აქვს ინფორმაცია, რაც ცუდია და კანონის დარღვევაა“. – განაცხადა ჯაფარიძემ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მერაბიშვილმა ბრალდების გაცნობასა და დადგენილების ჩაბარებაზე უარი განაცხადა



ვანო მერაბიშვილს ბრალი ოფიციალურად სასჯელაღსრულების ნომერ მეცხრე დაწესებულებაში, ე.წ. მატროსოვის ციხეში წაუყენეს.

„ბრალდებულმა ივანე მერაბიშვილმა, მას შემდეგ, რაც შეიტყო, რომ მის მიმართ ბრალდების შესახებ დადგენილება იქნა გამოტანილი, მის გაცნობასა და ბრალდების დადგენილების ჩაბარებაზე უარი განაცხადა. ირაკლი ოქრუაშვილი იმ დროს ერთ-ერთი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირი იყო. მასთან უშუალო შეხება ჰქონდათ, როგორც ივანე მერაბიშვილს, ასევე მიხეილ სააკაშვილს და ასევე, სხვა თანამდებობის პირებს. ის ერთ-ერთი მოწმეა, რომელიც ბრალდებულების მამხილებელ პირდაპირ ჩვენებას იძლევა“, – განაცხადა პროკურორმა დავით ბაინდურაშვილმა.

მერაბიშვილისა და სააკაშვილის ადვოკატებმა საქმეში მტკიცებულებების არარსებობაზე გაამახვილეს ყურადღება და აღნიშნეს, რომ პროკურატურას მათი დაცვის ქვეშ მყოფის საქმეში „სტაბილური“ მოწმეები ჰყავს.

„პროკურატურა ვანო მერაბიშვილთან მიმართებაში, ბოლო 6 ბრალდების საქმეში ერთსა და იმავე მოწმეებს იყენებს. ესენი არიან ბურჯანაძე, ირაკლი ოქრუაშვილი. ბურჯანაძე როდესაც იმ პერიოდში გამოდიოდა და ამბობდა, არ შეიძლება ასეთი განცხადებების კეთება, რომ ვალერი გელაშვილის მიმართ განხორციელებული უკანონო ქმედებები ხელისუფლებას დაჰბრალდესო, დღეს კი ვხედავთ, რომ ის განსაკუთრებული ინფორმაციის მატარებელი იყო“, – განაცხადა მერაბიშვილის ადვოკატმა გიორგი ჩივიაშვილმა. (ნიუპოსტი)

**საკაშვილ-კუბლაშვილის ე.წ. სასამართლო გადაწყვეტილებებმა ჩვენთვის ფარსად, ტაკიმასხრობად აქცია სამართლიანობის პროცესი. როგორი მართალიც არ უნდა იყო, სასამართლო სპექტაკლებში მონაწილეობის შედეგი ისევ უსამართლობა იქნება, აზრს კარგავს ამ ჯამბაზობაში, თუ უარესი არა – აღვირახსნილ, უზნეო, ამორალურ შურისმაძიებელ სპექტაკლებში მონაწილეობა. გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“, პროტესტის ნიშნად, აცილებას აძლევენ სასამართლო ხელისუფლებას და არანაირ მონაწილეობას აღარ მიიღებენ საკაშვილ-კუბლაშვილის უზნეო, უსამართლო ე.წ. სასამართლო პროცესში, სანამ სასამართლო სისტემა არ შეიცვლება და არ გაიწმინდება უზნეო მონა მოსამართლეებისგან, რადგან ახლა აზრი არ აქვს, რა მტკიცებულებებს დადებ და ვის წარადგენ მოწმეებად პროცესზე. „ოცნების“ ხელისუფლება საზოგადოებას დაჰპირდა, რომ არჩევნების შემდეგ დაამთავრებდა „ნაცმოძრაობას“. დაიწყეთ ეს ბოროტების იმ ბუდიდან, რომელსაც „ნაციონალი“ საკაშვილ-კუბლაშვილის სასამართლო ჰქვია.**

**„ალია“-„ქრონიკა“**

# ორი საფრთხე სააკაშვილისთვის

## რატომ ხდება მისთვის სახიფათო გაერო და აშშ

**როგორც ჩანს, გარდაცვლილ ბადრი პატარკაციშვილსაც სჭირდება ადვოკატი. მიუხედავად იმისა, რომ „ნაციონალები“ თავიანთ საქმეს „ხუთიანზე“ აკეთებენ, მიხეილ სააკაშვილისა და ვანო მერაბიშვილის მიერ ჩადენილ დანაშაულთა ნუსხას მაინც არაფერი აკლდება — ბადრი პატარკაციშვილის საქმეს 5 აგვისტოს მთავარმა პროკურატურამ ვალერი გელაშვილის ცემის საქმეც დაუმატა და მათ მორიგი ბრალდება წაუყენა. როგორც ბადრი პატარკაციშვილის ყოფილი ადვოკატი, შალვა ხაჭაპურიძე ამბობს „ალიასთან“ საუბარში, უახლოეს ხანში ამ ორ საქმეს მიემატება კიდევ ერთი — სვანეთში ჩადენილი სიბინძურეებისა და კოდორის ხეობის ჩაბარების საქმე. აქ უკვე მთავარ მოწმედ ამჟამად პატიმრობაში მყოფი ემზარ კვიციანი გამოვა, ხოლო მისი ადვოკატი თავად შალვა ხაჭაპურიძე იქნება:**

– მე ვარ ემზარ კვიციანის ადვოკატი, მალე იქნება სასამართლო პროცესი, სადაც ძალიან ბევრი სკანდალური საკითხი გახმაურდება. საზოგადოება გაიგებს, როგორ ჩააბარეს მთელი ხეობა ტყვიის გასროლის გარეშე და რა პროვოკაციები მზადდებოდა, რომ რუსებისთვის გადაეცათ.

**— სასამართლო პროცესი როდის არის?**

– საქმე გადასცეს ზუგდიდის სასამართლოს, ჩვენ აცილებას მივცემთ, გვინდა, რომ საქმის განხილვა თბილისში მოხდეს. ესენი ზუგდიდში პროცესებს პარტიზანულად ჩაატარებენ და ბევრ რამეს მიჩქმალავენ. მე არ მინდა, მოვლენებს გავუსწრო, საზოგადოება ბევრ ახალ ამბავს გაიგებს. არა მხოლოდ ემზარ კვიციანი, ამ პროცესებზე ბევრი მოწმე გამოვა და სააკაშვილს წარედგინება კიდევ ერთი ბრალდება. ახლა სააკაშვილისთვის მთავარ საშიშროებას წარმოადგენს, რომ არ გაწირონ ამერიკელებმა და გაერომ ჰააგის ტრიბუნალს არ დააწყებინოს გამოძიება. გაერომ ჩვენს ხელისუფლებას უკვე მისწერა: ეს საქმე კარგად გამოიძიეთ, აქ სამხედრო დანაშაულსაც აქვს ადგილიო. თუ სააკაშვილს ჰააგის ტრიბუნალმა მოჰკიდა ხელი, არავითარი ჩამოყვანა აღარ არის საჭირო, მიაბრძანებენ იქ, სადაც სხვადასხვა ქვეყნების ყოფილი მაღალჩინოსნები სხედან. როცა მე ჰააგაში მიშას წინააღმდეგ საჩივარი ჩავიტანე, მაშინ დამათვალიერებინეს ციხე, იქ შედარებით კარგი პირობებია. ახლა „ნაციონალებს“ კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა აქვთ – რამენაირად არ უნდა ალაპარაკდეს ვანო მერაბიშვილი, დავით კეზერაშვილი და დავით ბეჟუაშვილი, ამ უკანასკნელს რატომღაც არავინ ახსენებს და კი ზის პარლამენტში გასუსული. კეზერაშვილთან ერთად სწორედ ბეჟუაშვილი იყო სააკაშვილის ხაზინადარი და მისი ფინანსების მიმხედავი. ამ ადამიანმაც ძალიან კარგად იცის, მიშას სად აქვს ანგარიშები, აქ საუბარია 9 მილიარდზე, საიდანაც ფინანსდება „რუსთავი 2“. ეკა კვესიტაძე ეკითხება სააკაშვილს, ბადრი პატარკაციშვილისგან ფულს იღებდიო? არა, კაცო, რა ფულს ვიღებდიო? იღებდა და მერე როგორ? მაგათი მთავარი დამფინანსებელი ბადრი პატარკაციშვილი იყო, მაგრამ, როცა შეხედა, უკვე ნამეტანი მოსდიოდათ და ქონების წართმევაც კი დაუპირეს, ამის შემდეგ დაიწყო ოპოზიციის დაფინანსება. მერე მიხვდნენ, რომ ამხელა რესურსების მქონე ადამიანს ვერ მოერეოდნენ და გადაწყვიტეს მისი მოშორება. მე ახლა საქვეყნოდ ვაცხადებ: ბადრი პატარკაციშვილი მოკლულია, არავითარი გულის ამბავი არ ყოფილა. სად გაგონილა, გარდაცვლილ ადამიანს ერთი თვე უტარდებოდეს ექსპერტიზა? ასეთი რამ მაქსიმუმ 12 საათში მთავრდება, ამათ ერთი თვე კაცი არ დაასაფლავეს.

**— შალვა, ექსპერტიზას ხომ „სკოტლანდ-იარდი“ ატარებდა?**

– მერე რა, რომ „სოტლანდ-იარდი“ ატარებდა? მაგათ ქართველებზე უკეთესად იციან, როგორ და რანაირად უნდა გააკეთონ საქმე, ერთი თვე კაცი იქ ჰყავდათ, რაღაც კვალის გაქრობაზე იყო ლაპარაკი. ამერიკელებმა ბენ ლადენი რომ მოკლეს, სად არის დასაფლავებული, არავინ იცის, იძახიან, ზღვაში ჩავაგდეთო, ეს არაფერზე მიგანიშნებთ?

**— ერთი თვე ბადრის ცხედარი კონკრეტულად სად ჰქონდათ?**

– „სკოტლანდ-იარდის“ მორგში. რატომ, რისთვის? მით უმეტეს, ამის შემდეგ სააკაშვილმა განაცხადა, პოლიციამ ინგლისში წარმატებული სპეცოპერაცია განახორციელაო. რა იყო წარმატებული, კოდუა რომ ჩავიდა ლონდონში და ბადრიმ ჩაწერა? ახლა „ნაციონალები“ ათას რამეს ხლართავენ, კოდუამ ჩაიწერა, აივანზე არ ჩაიწერა, ქუსლში ჰქონდა ჩამონტაჟებული აპარატურაო. ათჯერ მაინც შევანელე კადრები, ერთი მანახონ, სად ჩანს, რომ კოდუას „ბულავკები“ ამოუღეს დაცვის თანამშრომლებმა? „ნაცმოძრაობას“ ბადრის თემა აწყობს, ამათი მიზანია, როგორმე იტივტივონ და თავი გაიმართლონ. სხვათა შორის, ახლა ვახტანგ რჩეულიშვილის პირით გამოაგდეს ინფორმაცია, თითქოს ბადრის გიორგი თარგამაძის მოკვლაც უნდოდა, ამის შესახებ ჩანაწერიც არსებობსო. ეს არის სრული აბსურდი, მსგავსი ინფორმაცია ბადრის მკვლელობიდან ერთი წლის შემდეგაც გავრცელდა, ვიღაცა განგებ ავრცელებდა. როცა დადგა საკითხი, რატომ წამოვიდა გიორგი თარგამაძე „იმედიდან“, დარბევის შემდეგ მაუწყებლობა რატომ არ აღდგა და ასე შემდეგ, დაიწყეს ლაპარაკი, წამოვიდოდა, აბა, რა იქნებოდა, ბადრის ასეთი რაღაცები





„თუ სააკაშვილს ჰააგის ტრიბუნალმა მოჰკიდა ხელი, არავითარი ჩამოყვანა აღარ არის საჭირო, მიაბრძანებენ იქ, სადაც სხვადასხვა ქვეყნების ყოფილი მაღალჩინოსნები სხედან“

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რუსეთს სანქციები შვეიცარიამაც დაუწესა



18 რუსულ კომპანიას აეკრძალა ქვეყანაში ფინანსური საქმიანობის წარმართვა, ასევე სანქციები დაუწესდა 26 კერძო პირს. ჯერჯერობით არ არსებობს ზუსტი ჩამონათვალი, რომელ კომპანიებსა თუ პირებს შეეხება ეს სანქციები, თუმცა, ევროპელი პოლიტიკოსების შეფასებით, შვეიცარიის ეს აქტი წარმოადგენს ევროკავშირისა და მსოფლიო საზოგადოებრიობისადმი სოლიდარობის გამოვლინებას.

როგორც ცნობილია, ევროკავშირი ერთი კვირის განმავლობაში მართავდა მოლაპარაკებებს შვეიცარიის ხელისუფლებასთან, პირველ ეტაპზე ბერნი უარს აცხადებდა, შეერთებოდა სანქციებს, რასაც ქვეყნის ნეიტრალიტეტით ხსნიდა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ვეტაფთიაქების კონტროლი დაიწყო

სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტებმა ვეტერინარული აფთიაქების, ვეტკლინიკების, ზოომაღაზიების, ვეტპრეპარატების დამამზადებელი საწარმოების, საზითუმო ვაჭრობის ობიექტებისა და ვეტკოსმეტიკური კაბინეტების კონტროლი დაიწყო.

საქართველოს კანონის მიხედვით, ვეტერინარული აფთიაქების, ვეტკლინიკების, ზოომაღაზიების, ვეტპრეპარატების დამამზადებელი საწარმოების, საზითუმო ვაჭრობის ობიექტებისა და ვეტკოსმეტიკური კაბინეტების რეგისტრაცია 2015 წლის 1-ლი იანვრიდან ხდება სავალდებულო. ასევე 2015 წლის 1-ლი იანვრიდან ამოქმედდება საჯარიმო სანქცია ეტიკეტირების წესის დარღვევაზე. ამ ეტაპისთვის კი ვეტერინარული პრეპარატების ეტიკეტირების წესი მუშავდება.

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების შესახებ სურსათის ეროვნულმა სააგენტომ მთელი ქვეყნის მასშტაბით წერილობით გააფრთხილა მეწარმეები მიმდინარე წლის თებერვალში. სახელმწიფო კონტროლის განხორციელება კი 1 აპრილიდან დაიწყო. ამ ეტაპისთვის შიდა ქართლის, სამეგრელოს, გურიის, რაჭა-ლეჩხუმის, აჭარისა და იმერეთის რეგიონებში, ასევე თბილისში აღებულია ვეტერინარული პრეპარატის 102 ნიმუში, ხოლო ვეტერინარული პრეპარატების უსაფრთხოების კონტროლის მიზნით განხორციელდა გეგმური კონტროლი 126 ობიექტში, საიდანაც 17 ამპულა ფალსიფიცირებული ვეტპრეპარატი ამოიღეს.

კანონმდებლობის შესაბამისად, ფალსიფიცირებული პრეპარატის მწარმოებელი დაჯარიმდა 1000 ლარით, ამავე ოდენობის თანხით დაჯარიმდა ფალსიფიცირებული პრეპარატის რეალიზატორი. კონტროლის განხორციელება გრძელდება. (ნიუპოსტი)

*მესამე გვერდიდან*

უთქვამსო. მაშინ ეს იყო უშიშროების სამსახურის მიერ გამოგდებული ჭორი, ანუ სატყუარა.

**— შალვა, რა ბრალდებებსაც მთავარი პროკურატურა სააკაშვილსა და ვანო მერაბიშვილს უყენებს, ამის შესახებ ფაქტები და სამხილები დევს, აგერ არის „იმედის" დარბევის კადრები, ნაცემი ვალერი გელაშვილის კადრები და ასე შემდეგ. ამ შემთხვევაში ჩვენს უცხოელ მეგობრებს რაში უნდა შეეპაროთ ეჭვი და რატომ არ უნდა დააკავონ სააკაშვილი? ბოლოს და ბოლოს, ეს ყველაფერი ხომ ქართველმა ხალხმა საკუთარი თვალით ნახა?**

– გასაგებია, მაგრამ შენ იცი, საფრანგეთის სასამართლომ კეზერაშვილს წინასწარი პატიმრობა რატომ არ შეუფარდა? ესე იგი, ამათ წარადგინეს დოკუმენტები, რომ კეზერაშვილმა ამასთან და ამასთან ერთად ჩაიდინა ესა და ეს დანაშაულიო. მოსამართლემ იკითხა, კეზერაშვილმა მავანთან და მავანთან ერთად დანაშაული რომ ჩაიდინა, ისინი დაკავებულები არიანო? ამათ უპასუხეს – არაო. აი, ის ადამიანები პოლიტიკოსები არიანო? ამათ მხრეები აიჩეჩეს და უპასუხეს – არაო. კეზერაშვილი პოლიტიკოსიაო? კი, პოლიტიკოსიაო. ჰოდა, ეს პოლიტიკური დევნააო. ახლა რომ 7 ნოემბრის საქმეზე სააკაშვილს და მერაბიშვილს ბრალდებები წაუყენე, სულ მცირე, 10 კაცი მაინც არ უნდა იყოს პასუხისგებაში მიცემული, ვინც ამათ უკანონო დავალებებს ასრულებდა? ძმაო, თუ დამკვეთის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, სად არიან შემსრულებლები, რომლებიც „დუბინკებს" გვირტყამდნენ და თავ-პირს გვამტვრევდნენ? 26 მაისის საქმეზე წაუყენეს ვანო მერაბიშვილს ბრალი, დანარჩენები სად არიან, ზოგი რომ ისევ თანამდებობაზე დასვი და ზოგი კიდევ რომ დააწინაურე, შენი საქმე იურიდიული თვალსაზრისით გამართული იქნება? იგივე გელაშვილის საქმე ავიღოთ, ვინც უშუალოდ ვალერის ურტყამდა, ისინი სად არიან? თუ იმათ ბრალს არ წაუყენებ, ძმაო, ევროპასთან გაქვს საქმე, სოფლის ორღობე კი არ არის? სამართლებრივი დონე აქვთ, ორი საუკუნით არიან წინ გაქცეულები.

**— კი, მაგრამ ჩვენმა პროკურორებმა ეს არ იციან?**

– არ ვიცი, რა იციან და რა არ იციან, ადამიანები, რომლებიც უამრავ დანაშაულს სჩადიოდნენ, დღეს დაწინაურებულები არიან და ამიტომაც აქვს უამრავ საბოტაჟს ადგილი. ცოტა ხნის წინ ირაკლი ღარიბაშვილმა ამის შესახებ გააკეთა განცხადება, გამგებს უნდა გაეგო, მაგრამ შედეგი მაინც არ ჩანს. თუ შესაბამისი საკადრო პოლიტიკა არ გატარდა, არაფერი არ გამოვა, მე რომ ევროპელი მოსამართლე ვარ და ვუყურებ, სააკაშვილს ბრალდებას უყენებ, იქ ეს ადამიანი დარბოდა და „დუბინკას" იქნევდა? ერთი კადრები მანახეთ... ვააა, ვნახე, გამოსულია 100 ათასი კაცი და 20 ათასი პოლიციელი თუ ჯინსიანი „ზონდერი" ურტყამს. ხომ ვიკითხავ, ამ პოლიციელებიდან თუ „ზონდერებიდან" რამდენი გყავთ დაჭერილი? ა, არც ერთი? მაშინ ეს საქმე პოლიტიკურია.





**„გამოსულია 100 ათასი კაცი და 20 ათასი პოლიციელი თუ ჯინსიანი „ზონდერი" ურტყამს. ხომ ვიკითხავ, ამ პოლიციელებიდან თუ „ზონდერებიდან" რამდენი გყავთ დაჭერილი? ა, არც ერთი? მაშინ ეს საქმე პოლიტიკურია. ბიჭო, რასაც აკეთებ, ბარემ წესიერად გააკეთე და მარილი მოაყარე"**

**„სხვათა შორის, ახლა ვახტანგ რჩეულიშვილის პირით გამოაგდეს ინფორმაცია, თითქოს ბადრის გიორგი თარგამაძის მოკვლაც უნდოდა, ამის შესახებ ჩანაწერიც არსებობსო. ეს არის სრული აბსურდი, მსგავსი ინფორმაცია ბადრის მკვლელობიდან ერთი წლის შემდეგაც გავრცელდა, ვილაცა განგებ ავრცელებდა"**

ბიჭო, რასაც აკეთებ, ბარემ წესიერად გააკეთე და მარილი მოაყარე. აგერ, მე და ჩემი ცოლი ვიყავით დალეწილები, ვინმემ დაგვკითხა? მეც ძალიან მაინტერესებს, ვინ მცემდა და ვინ მირტყამდა. კაი, მე გავჩერდი, სახელმწიფოს განვითარებას ხელს არ ვუშლი, შენ რომ ევროპაში საქმეს წააგებ, ამას რა ვუყოთ?

**— სააკაშვილის ბანდა აცხადებს, თუ აქ არაფერი გამოგვივიდა, სტრასბურგში გავასაჩივრებთო. ეგეც კარგია, ირბინონ სტრასბურგში, ნახონ, როგორია ლოდინი.**

– კი, ბატონო, თუ დასჭირდათ, ევროკონვენციის მე-5 მუხლით გაასაჩივრებენ, ეგ არაფერი არ არის, ჩამოუვათ სადღაც 5 წელიწადში პასუხი. აგერ, სულხან მოლაშვილის საქმე ჯერ არც განუხილავთ.

**— ეს ყოფილ პრეზიდენტს ეხება და ხომ შეიძლება, დაჩქარებული წესით განიხილონ?**

– მერე რა, რომ ყოფილ პრეზიდენტს ეხება? იმათ თავიანთი რეგლამენტი აქვთ და ეგ არის ერთი მინუსი – საქმეების განხილვა არის კატასტროფულად გაჭიანურებული. სულ ლაპარაკობდნენ, შეიძლება მოსამართლეების რაოდენობა გაიზარდოსო, მაგრამ ჯერჯერობით გადაწყვეტილება არ მიუღიათ. თუმცა არ არის გამორიცხული, ვილაცები ჩაერიონ და დააჩქარონ, მაგრამ რეკომენდაციას გამოაგზავნიან და მორჩა, სანდრო გირგვლიანის შესახებაც მოვიდა რეკომენდაცია, რამე გააკეთეს? პრობლემა აქ სხვა რამეა, უნდა ჩატარდეს კომპლექსური გამოძიება, არავინ არ გეუბნება, ყველა ციხეში ჩაყარეო, პასუხისგებაში მიეცი, სრულყოფილი საქმე შექმენი, კეზერაშვილის თემა შენთვის გაკვეთილი არ უნდა იყოს? ვნახოთ, თუ ეს ყველაფერი გაითვალისწინეს, კარგი იქნება, თუ არა და იგივე მოხდება, რაც კეზერაშვილის შემთხვევაში მოხდა.

**„ახლა „ნაციონალებს" კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა აქვთ – რამენაირად არ უნდა ალაპარაკდეს ვანო მერაბიშვილი, დავით კეზერაშვილი და დავით ბეჟუაშვილი, ამ უკანასკნელს რატომლაც არავინ ახსენებს და კი ზის პარლამენტში გასუსული"**

**გელა ზედელაშვილი**

555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ზურაბ ჯაფარიძე ელჩებთან შეხვედრაზე საკმაოდ არაკორექტული იყო"



საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძის ინფორმაციით, საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი ზურაბ ჯაფარიძე ელჩებთან შეხვედრაზე საკმაოდ არაკორექტული იყო.

„პანელის მიმდინარეობისას მოგვივიდა ცნობა, რომ მანამდე გააკეთა განცხადება და უბრალოდ რომ ვთქვათ, შეურაცხყოფა მიაყენა საქართველოს დიპლომატიურ კორპუსს და თქვა, რომ საქართველოს ელჩები არ უნდა იქცეოდნენ ისე, როგორც რუსეთის ელჩი გაერო-ში ჩურკინი. ეს რომ ჩვენ მანამდე გვცოდნოდა, შესაბამისი რეაქცია გვექნებოდა. მას შემდეგ, რაც მან საგარეო საქმეთა სამინისტროს მადლობა გადაუხადა მოწვევისთვის, სესიის წამყვანმა დავით ზალკალიანმა მიუთითა იმაზე, რომ არ შეიძლება ასეთი განწყობით მოდიოდეს პარლამენტის წევრი დიპლომატიურ კორპუსთან შეხვედრაზე. ჯაფარიძემ ეს განცხადება უარყო და ინტერპრეტაცია მედიას დააბრალა", – განაცხადა ფანჯიკიძემ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## გადამფრენ ფრინველებზე ნადირობის სეზონი 16 აგვისტოს დაიწყება




საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის პირველი მოადგილის თეიმურაზ მურღულიას განცხადებით, 16 აგვისტოს სეზონი იხსნება. ნადირობის მსურველებმა თან უნდა იქონიონ გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე დაწესებული მოსაკრებლის (10 ლარი) გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, რომელიც მთელი სეზონის განმავლობაში მოქმედებს, ასევე საქართველოს შსს-ს შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული სანადირო თოფის შენახვისა და ტარების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი. მოსაკრებლის გადახდა საქართველოს ნებისმიერ ბანკშია შესაძლებელი. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ ასევე დაადგინა ნადირობის დღიური ლიმიტები.

სახელმწიფო ნაკრძალებსა და ეროვნულ პარკებში, ასევე მათ გარშემო 500-მეტრიან ზონაში და საქართველოს ქალაქების ადმინისტრაციულ საზღვრებში ნადირობა იკრძალება. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



ძალიან უცნაურად ემთხვევა მიხეილ სააკაშვილის გააქტიურება იმ ქვეყნის მიმართულებით, სადაც რუსეთის პოლიტიკური ინტერესების კომპასი სწორდება. რომელი ქვეყნის სპეცსამსახურების ხელშია სააკაშვილის გასაღები, ხელაღებით ამის თქმა რთულია, თუმცა ის მაშველი რგოლივით ჩნდება ცხელ წერტილებში. უკრაინის შემდეგ, დაკონსერვებული კონფლიქტი ყარაბახში განახლდა, ცეცხლის დანთებამდე რუკა გადმოფინეს.

რა კონფლიქტის გაღვივებას ემსახურება ტანდემში შეთამაშებული პროვოკაცია და რა საფრთხე ემუქრება საქართველოს? არ არის გამორიცხული, ამ პროვოკაციას გაგრძელება 7 აგვისტოს თამაშს მოჰყვეს. დამზადებულია მაისურები, კეპები, დროშები აზერბაიჯანის რუკით და ეთნიკური აზერბაიჯანელების ჩამოყვანას აპირებენ მარნეულიდან, გარდაბნიდან, დმანისიდან, რუსთავიდან, ამ ცენტრს აძლიერებს, შემთხვევითი არ იყო სააკაშვილის სწრაფი რეაქცია, ბაქოს სტადიონის ინციდენტზე, „ჩიხურა“ ბიძინა ივანიშვილთან ასოცირდება, სწორედ ამ გუნდის თამაშზე მოხდა პროვოკაცია. სააკაშვილი ჩასაფრებულივით ელოდა, როდის დასრულდებოდა ინციდენტი, რომ კომენტარი გაეკეთებინა. ის ალიევს არწმუნებს, რომ ბიძინა ივანიშვილი მის ოპოზიციასთან არის შეკრული და დაინტერესებულია ხელისუფლებიდან უთქვამს, რომ სააკაშვილი მას არწმუნებს თითქოს, „ოცნების“ ხელისუფლება ჩემს მოწინააღმდეგეს შეეკრა, თუმცა მე სააკაშვილის ზღაპრების არ მჯერაო. მაგრამ სააკაშვილმა პედალს მიაჭირა და ძალიან ცუდად დაიწყო კავკასიაში ხელების ფათური, „ანტიალიევური ცენტრის“ შექმნის განაცხადი, ეს არის განაცხადი იმისა, რომ სააკაშვილმა დაძაბოს საქართველო-აზერბაიჯანს შორის ურთიერთობა. ისე კი, ალიევის ოპოზიცია, სოიუნ



# რა პროვოკაციებით აპირებენ „ნაციონალები“ ხელისუფლებაში დაბრუნებას



„საერთაშორისო საზოგადოებამ მის წინააღმდეგ საქმის აღძვრა დაუშვა იმიტომ, რომ ეს ცოფიანი ძაღლი ჯაჭვზე დააბან და პრობლემები არ შეუქმნას სხვადასხვა დონის პოლიტიკოსებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ წითელ ცირკულარზე დასვამენ და ველარ გადაადგილდება, მას არ დააპატიმრებენ“

**„გარდაბანში დაბადებული აზერბაიჯანელი მილიარდერის სოიუნ სადიკოვის მეშვეობით წამოიწყო რუსეთმა ანტიალიევური კამპანია... თავის დროზე მიხეილ სააკაშვილსაც შეხვდა და „ნაციონალურ მოძრაობასაც“ აფინანსებდა. ჩვენ რამდენადაც გვახსოვს, ეს პიროვნება, ყოველთვის ეხმარებოდა „ნაციონალებს“ არჩევნებში, სადიკოვი ყოველთვის მანიპულირებდა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელების ხმების რაოდენობით, „ნაციონალური მოძრაობა“ თან ალიევს ძმობას ეფიცებოდა და დახმარებას იღებდა ხმების სახით და თან ალიევის კონკურენტ მოსკოველ აზერბაიჯანელებთან ვასასობდა“**

საქართველოსთვის ძალიან სამწუხარო ინციდენტი მოხდა, როდესაც ბაქოს სტადიონზე ქართველმა „გულშემატკივრებმა“ გადმოფინეს რუკა შემოხაზული წარწერით – „მე დაკარგულად არ ჩავთვლი იმას, რაც ჩემი ნებით არ დამითმია!“ რუკაზე აზერბაიჯანის ტერიტორიები ზაქათალა და კახი საქართველოს დაკარგულ ტერიტორიებად იყო მონიშნული. რუკის გადმოფენიდან რამდენიმე წუთში აზერბაიჯანელმა გულშემატკივრებმა საპირისპირო ყველაფერს კი ეთნიკური სომხები აკვირდებიან და ფიქრობენ, რომ, თუკი სიტუაცია დაიძაბება, გაააქტიურებენ სამცხე-ჯავახეთს. სიღრმეებში ჩასვლა მხოლოდ აპოკალიფსურ სურათს მოგვცემს, ამიტომაც ცარიელ ჭიქაში ქარიშხლის ატეხა რომ არ დაგვბრალდეს, ერთს ვიტყვით მხოლოდ – სიტუაცია პიკზეა, ამით დაინტერესებულია ეგრეთწოდებული ოპოზიცია, „ნაციონალური მოძრაობის“ სახელით, მიხეილ სააკაშვილი და რუსეთი, რომელიც ანტიალიევურ მისი წასვლით, ამ მიზნით „აზერბაიჯანელ მილიარდერთა კლუბთან“ მეგობრობს, სადაც გაერთიანებულები არიან ალეკპეროვი, ტელმან ისმაილოვი, სოიუნ სადიკოვი და ა.შ.

სააკაშვილმა რამდენიმე თვის წინ ალიევთან ამ ამბის ჩასატანად იყო, თუმცა, ალიევმა ეს, ცხადია, არ დაიჯერა. სანდო წყაროს ცნობით, სააკაშვილის ვიზიტის შემდეგ, ხელისუფლების წარმომადგენელთან პირისპირ შეხვედრაზე ალიევს სადიკოვი, სწორედ სააკაშვილის არჩევნებს აფინანსებდა, თუმცა მაშინ, ეს თემები გასაიდუმლოებული იყო, დღეს კი სააკაშვილმა ყველაზე კარგად იცის, საიდან უნდა მიაყენოს დარტყმა ქვეყანას და ხელისუფლებას. რასაც ის წლების მანძილზე აკეთებდა, დღეს „ოცნების“ ხელისუფლების წინააღმდეგ იყენებს, ეს უკვე სახიფათო თამაშებია.

**„ალიას“ კითხვებს „კავკასიელ კონფედერაციის“ ხელმძღვანელი ზაალ კასრელიშვილი პასუხობს:**

– ალიევმა ყარაბახის საკითხში მსოფლიოში შექმნილი სიტუაციით ისარგებლა და მისი გადაწყვეტილება სწორი იყო, მაგრამ, როგორც ჩანს. რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა შეშინებულია აზერბაიჯანის ეკონომიკური გაძლიერებით და მისი სამხედრო პოტენციალით, ამიტომაც

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*

**„სააკაშვილი მოქმედებს საქართველოს წინააღმდეგ. მისი განცხადებები ამჟამად მიმართულია ქართველების წინააღმდეგ, მისთვის სულ ერთია, რა დაემართება საქართველოს, მთავარია, საქართველოში მოხდეს არეულობა და დაკარგოს ტერიტორიები, ერი გამწარდეს, რომ მერე, სააკაშვილმა ყოფილ პატრონებთან, რომლებსაც მუხლებს უკოცნიდა, თავი გამოიჩინოს, რომ მისი მართვის პერიოდში არც ეთნიკური და არც რელიგიური ომი არ იყო“**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## შსს-მ 5 ჩამორთმეული ავტომანქანა მესაკუთრეებს დაუბრუნა



შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2006-2011 წლებში სისხლის სამართლის საქმეებზე ნივთმტკიცებად ამოღებული 5 ავტომანქანა კეთილსინდისიერ შემძენებს დაუბრუნა. ავტომფლობელები საქართველოში იმ პერიოდისთვის იმპორტირებული და საქართველოს შსს-ში რეგისტრირებული ავტომანქანების შეძენის შედეგად დაზარალდნენ. ავტომანქანების შეძენის შემდეგ დადგინდა, რომ მათი საიდენტიფიკაციო მონაცემები იყო შეცვლილი, რაც გახდა გამოძიების დაწყებისა და აღნიშნული ავტომანქანების ჩამორთმევის საფუძველი.

2014 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის ერთობლივი ღონისძიებების შედეგად დადასტურდა, რომ ავტომანქანების შეძენა მოხდა კეთილსინდისიერად, ასევე გამოირიცხა დაზარალებული პირების რაიმე ფორმით მონაწილეობა მითითებულ დანაშაულში.

აქედან გამომდინარე, შინაგან საქმეთა სამინისტრომ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო და 5 ერთეული სატრანსპორტო საშუალება კეთილსინდისიერ შემძენებს დაუბრუნა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „ველოსიპედი, ასეთი უსახური ძეგლი, შესაძლოა, დაიდგას სადმე გარეუბანში“




თბილისის მერის დავით ნარმანიას განცხადებით, კულტურულ ძეგლებთან დაკავშირებით კომისია იმუშავებს და ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას არ მიიღებს:

„დაისვა კითხვა იმასთან დაკავშირებით, როგორი იყო ჩემი პოზიცია ველოსიპედის გადატანასთან დაკავშირებით, რაზეც მე ვუპასუხე, რომ ასეთი უსახური და გაურკვეველი წარმომავლობის ძეგლი, რომელსაც შეიძლება ძეგლი ვერ დავარქვა, სხვაგან დავდგათ. შესაძლებელია, ის დაიდგას სადმე გარეუბანში. მე პირადად, 9-წლიანი მმართველობის სიმბოლოს გადავიტანდი, რომ დამთვალიერებელს ჰქონდეს საშუალება, ნახოს, როგორი მიდგომები იყო ძეგლებთან და ზოგადად, არქიტექტურასთან დაკავშირებით და მას პატარა ისტორიასაც წავაწერდი. სხვა ძეგლებთან დაკავშირებით კომისია იმუშავებს და ამაზე მე ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს არ მივიღებ“, – განაცხადა ნარმანიამ. (ნიუპოსტი)



## პატრიარქმა ირაკლი ღარიბაშვილს თეთრი ცხენი აჩუქა

პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, უწმინდესის მიწვევით, პრემიერ-მინისტრი ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ სნოში იმყოფებოდა. პრემიერმა უწმინდესის მშობლიური სოფელი მოინახულა და  დღე პატრიარქთან გაატარა.

მთავრობის მეთაურმა და კათალიკოს-პატრიარქმა ერთად დაათვალიერეს ლარსის გამშვები პუნქტი და მოილოცეს დარიალის ხეობაში ახლად გახსნილი ეკლესია.

დამშვიდობებისას უწმინდესმა ირაკლი ღარიბაშვილს თეთრი ცხენი აჩუქა. (ფრონტნიუსი)

*მეხუთე გვერდიდან*

გარდაბანში დაბადებული და მოსკოვში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელი მილიარდერის სოიუნ სადიკოვის მეშვეობით წამოიწყო ანტიალიევური კამპანია. აზერბაიჯანულ ოპოზიციას ქმნის კრემლი, მოსკოვში მცხოვრები აზერბაიჯანელი მილიარდერების დახმარებით. თავის დროზე მიხეილ სააკაშვილსაც შეხვდა და „ნაციონალურ მოძრაობასაც“ აფინანსებდა, ჩვენ რამდენადაც გვახსოვს, ეს პიროვნება, ყოველთვის ეხმარებოდა „ნაციონალებს“ არჩევნებში, სადიკოვი ყოველთვის მანიპულირებდა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელების ხმების რაოდენობით, „ნაციონალური მოძრაობა“ თან ალიევს ეფიცებოდა ძმობას და დახმარებას იღებდა ხმების სახით და თან ალიევის კონკურენტ მოსკოველ აზერბაიჯანელებთან ვასასობდა, ჩვენ არ გვიკვირს მიხეილ სააკაშვილის უსინდისო და ორსახოვანი პოლიტიკა, როცა ყველა კალთაში ჩაჯდება, თუ სარგებელი აქვს, ამის შედეგებს ახლაც ვიმკით.

**— აშკარაა, რომ სააკაშვილი ცდილობს, სიტუაცია არიოს და სკანდალურ განცხადებებს აკეთებს. უკრაინის შემდეგ მან კავკასიაზე დაიწყო ფიქრი. მისი საბოლოო გეგმა ხომ კავკასიის ლიდერობაა. რას მიაღწევს?**

— სააკაშვილი მოქმედებს საქართველოს წინააღმდეგ. მისი განცხადებები ამჟამად მიმართულია ქართველების წინააღმდეგ, მისთვის სულ ერთია, რა დაემართება საქართველოს, მთავარია, საქართველოში მოხდეს არეულობა და დაკარგოს ტერიტორიები, ერი გამწარდეს, რომ მერე, სააკაშვილმა ყოფილ პატრონებთან, რომლებსაც მუხლებს უკოცნიდა, თავი გამოიჩინოს, რომ მისი მართვის პერიოდში არც ეთნიკური და არც რელიგიური ომი არ იყო, ის ამ განცხადებებით ხელს უწყობს პრორუსული ორიენტაციის აზერბაიჯანელების გააქტიურებას, მისი განცხადებები რუსეთის სპეცსამსახურების წისქვილზე ასხამს წყალს, ამიტომაც არის, რომ პოროშენკო გონს მოეგო, უკრაინელები მიხვდნენ, რომ სააკაშვილი მათ სასარგებლოდ არ ლაპარაკობს, უკრაინის კონფლიქტსაც კი თავისი პოლიტიკური ამბიციების დასაკმაყოფილებლად იყენებს სააკაშვილი, პლუს რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას საშუალებას აძლევს, თავი იმართლოს დასავლეთის წინაშე, რომ უკრაინაში ფაშისტური და ნაციონალისტური ტენდენციები ძალიან ღრმაა, რომელსაც დასავლეთი აძლევს როგორც ფინანსურ, ასე მორალურ მხარდაჭერას სააკაშვილის სახით, რაც უკრაინის პოლიტიკურ ელიტას უხერხულ მდგომარეობაში აყენებს.

**„ნაციონალები“ არჩევნების გზით ხელისუფლებაში ველარასოდეს დაბრუნდებიან. არის ინფორმაცია, რომ „ნაცები“ რევოლუციურ ფონს ამზადებენ. ამ პროცესში მათ იმედი აქვთ პრეზიდენტ მარგველაშვილის და ირაკლი ალასანიასი, მათი ამოცანაა, რომ დაძაბონ ვითარება, შექმნან დაპირისპირების კერები, რელიგიურ და ეთნიკურ ნიადაგზე“**

სულ ახლახან მომაწოდეს უკრაინიდან ინფორმაცია, რომ სააკაშვილი ზღვარს გადავიდა, შოკში ვართ მისი სატელევიზიო გამოხტომებით, რასაც ის უკრაინის ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად აკეთებს, ჩვენი ქვეყნისა და მთავრობის ინტერესების საწინააღმდეგო განცხადებებსო. მას შეუთვალეს, თავი შეიკავოს მსგავსი შეუთანხმებელი განცხადებებისგან და შეზღუდოს უკრაინაში სიარული.

სააკაშვილი „ევროპის სახალხო პარტიის“ ინტერესიც აღარ არის. მას მხარს უჭერენ პარტიები, რომლებიც მასთან რაღაც სქემებით იყვნენ დაკავშირებული როგორც პოლიტიკურად, ასევე ფინანსურად.

**— სააკაშვილს ახალი ბრალი წაუყენა პროკურატურამ, დეპუტატ ვალერი გელაშვილზე თავდასხმისა და უმოწყალო ცემის ფაქტზე, თუკი ექსპრეზიდენტს დასავლეთი ლობირებს, როგორც სააკაშვილი გვიმტკიცებს, რატომ დაუშვეს მასზე საქმის აღძვრა?**

– ჩვენი აზრით, საერთაშორისო საზოგადოებამ მის წინააღმდეგ საქმის აღძვრა დაუშვა იმიტომ, რომ ეს ცოფიანი ძაღლი ჯაჭვზე დააბან და პრობლემები არ შეუქმნას სხვადასხვა დონის პოლიტიკოსებს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ წითელ ცირკულარზე დასვამენ და ველარ გადაადგილდება, მას არ დააპატიმრებენ. მინდა ვთქვა შიშველი სიმართლე, რატომ არ დააპატიმრებენ მას. მიხეილ სააკაშვილი არ არის ის კაცი, ვისაც დააპატიმრებენ და გაჩუმდება. საერთაშორისო საზოგადოებამ და მსოფლიოს წამყვანმა პოლიტიკოსებმა კარგად იციან, მას თუ დააპატიმრებენ, ის პირს გააღებს და ბევრს უხერხულობას შეუქმნის. მიშას თუ დაიჭერენ, ყველას „ჩაუშვებს“. ასეთ ადამიანებს კი არ იჭერენ, არამედ იშორებენ, მაგრამ ვიდრე მოიშორებენ, აფრთხილებენ ძალიან სერიოზულად. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მის წინააღმდეგ საქმის აღძვრა და ბრალის წაყენება არის სერიოზული გაფრთხილება, ამიტომ გარკვეულ ტერიტორიაზე მოაქცევენ, რომ პრობლემები არ შექმნას, თუკი სააკაშვილი არ შეწყვეტს ფსიქოპატიურ გამოხტომებს სხვადასხვა კონფლიქტის ეპიცენტრიდან და სამხრეთ კავკასიაში ის უკვე გამოდის, როგორც ამრევი, და ამის ნიშნები უკვე არის, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ის ცუდად დაამთავრებს მოღვაწეობას და გააჩუმებენ.

**„ჩემმა დასავლელმა მეგობრებმა მომაწოდეს ინფორმაცია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ძალიან სერიოზული კამპანია მიდის ობამას გვერდით გასაწევად. თუკი „რესპუბლიკელებმა“ მოახერხეს და ობამა ჩამოიცილეს, ისევ „რესპუბლიკელები“ მოვლენ ხელისუფლებაში და „ნაციონალურ მოძრაობას“ იმედი აქვს, რომ ამერიკის ხელისუფლებაში მოსული „რესპუბლიკელები“ სააკაშვილის რეაბილიტაციას მოახერხებენ, მაგრამ მათ არ იციან, რა გზებით უნდა დააბრუნონ ის ქვეყანაში“**

**„მიხეილ სააკაშვილი არ არის ის კაცი, ვისაც დააპატიმრებენ და გაჩუმდება. საერთაშორისო საზოგადოებამ და მსოფლიოს წამყვანმა პოლიტიკოსებმა კარგად იციან, მას თუ დააპატიმრებენ, პირს გააღებს და ბევრს უხერხულობას შეუქმნის. მიშას თუ დაიჭერენ, ყველას „ჩაუშვებს“. ასეთ ადამიანებს კი არ იჭერენ, არამედ იშორებენ, მაგრამ ვიდრე მოიშორებენ, აფრთხილებენ ძალიან სერიოზულად“**

**— სააკაშვილს მოკლავენ, როგორც ეს არაერთი ლიდერის შემთხვევაში მოხდა? პოლიტიკური სასაფლაოები მომრავლდა საქართველოში.**

– ბევრი უბედურება შეიძლება დაემართოს, შეიძლება ბევრი დალიოს და ნაბახუსევს ველარ გაიღვიძოს, შეიძლება წამალში გაიპაროს, გაიგუდოს, საჭმლით მოიწამლოს, ვფიქრობ, რომ ეს მისი ბოლო გაფრთხილებაა.

ახლა ერთ საინტერესო ინფორმაციას გეტყვით, ჩემმა დასავლელმა მეგობრებმა მომაწოდეს ინფორმაცია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ძალიან სერიოზული კამპანია მიდის ობამას გვერდით გასაწევად. თუკი „რესპუბლიკელებმა“ მოახერხეს და ობამა ჩამოიცილეს, ისევ „რესპუბლიკელები“ მოვლენ ხელისუფლებაში და „ნაციონალურ მოძრაობას“ იმედი აქვს, რომ ამერიკის ხელისუფლებაში მოსული „რესპუბლიკელები“ სააკაშვილის რეაბილიტაციას მოახერხებენ, მაგრამ მათ არ იციან, რა გზებით უნდა დააბრუნონ ის ქვეყანაში და რა ფორმით გააგრძელებს ის დასავლეთში პოლიტიკურ მოღვაწეობას, იმისთვის, რომ საქართველოში შემოესვლებოდეს, მაგრამ მათ ერთი რამ კარგად იციან, რომ „ნაციონალები“ არჩევნების გზით ხელისუფლებაში ველარასოდეს დაბრუნდებიან. არის ინფორმაცია, რომ „ნაცები“ რევოლუციურ ფონს ამზადებენ. ამ პროცესში მათ იმედი აქვთ, პრეზიდენტ მარგველაშვილისა და ირაკლი ალასანიასი, მათი ამოცანაა, რომ დაძაბონ ვითარება, შექმნან დაპირისპირების კერები, რელიგიურ და ეთნიკურ ნიადაგზე, მე არ გამიკვირდება, რომ გარდაბნის, მარნეულის ეთნიკურმა აზერბაიჯანელებმა და სამცხე-ჯავახეთის სომხებმა ძალიან მალე ავტონომიები მოითხოვონ. ამ არეულ სიტუაციაში „ნაციონალები“ ააგორებენ საპროტესტო გამოსვლებს. ვაფრთხილებ ხელისუფლებას, „ნაციონალური მოძრაობა“ რევოლუციისთვის ემზადება! სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“ არწმუნებენ დასავლეთს, რომ საქართველოში ახალი რევოლუცია, ეს არის სწორი გზა, რომ არ დაკარგონ კავკასიაში გავლენა საქართველოს სახით. როცა სააკაშვილი დაბრუნებაზე ლაპარაკობს და ვადებს ასახელებს, მათ იცით, რა გეგმა აქვთ? „ნაცები“ აპირებენ, სიტუაცია ისე დაძაბონ, რომ დიდი საპროტესტო აქციების ფონზე მიხეილ სააკაშვილი შემოიყვანონ და კვლავ რევოლუციური გზით დაბრუნდნენ ქვეყანაში.

**„როცა სააკაშვილი დაბრუნებაზე ლაპარაკობს და ვადებს ასახელებს, მათ იცით, რა გეგმა აქვთ? „ნაცები“ აპირებენ, სიტუაცია ისე დაძაბონ, რომ დიდი საპროტესტო აქციების ფონზე მიხეილ სააკაშვილი შემოიყვანონ და კვლავ რევოლუციური გზით დაბრუნდნენ ქვეყანაში“**

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## არასამთავრობო ორგანიზაციები პრემიერს მიმართავენ



არასამთავრობო ორგანიზაციები ირაკლი ღარიბაშვილის აპარატს განცხადებით მიმართავენ:

„მისასალმებელია პრემიერის ინიციატივა არასამთავრობო სექტორთან შეხვედრა-დისკუსიასთან დაკავშირებით.

მიგვაჩნია, რომ ხელისუფლების მხრიდან მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს არასამთავრობო ორგანიზაციებთან კოორდინაცია-თანამშრომლობას, რაც წინა წლებში არ ხდებოდა. მეტიც, დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებდა განვითარების ეტაპზე მყოფ ორგანიზაციებს, გამოკვეთილად კი რამდენიმე „ფეოდალ-მონოპოლიებად ქცეულ“ ორგანიზაციებთან შედარებით.

თხოვნით მივმართავთ პრემიერის პიარსამსახურს, არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრებზე, მიწვეული იყოს ორგანიზაციების ფართო სპექტრი, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფოში დემოკრატიულ პროცესების“. – აღნიშნულია განცხადებაში. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თბილისში შესაძლოა მეორე მეჩეთი აშენდეს



საქართველოს პრეზიდენტის მრჩევლის სოფო შამანიდის განცხადებით, ხელისუფლება დაინტერესებულია ქართველი აზერბაიჯანელების შენარჩუნებით. ამის გარდა, შეეხო რა საკითხს მათი რელიგიური უსაფრთხოების შესახებ მან აღიარა, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობს პრობლემა ნაციონალური უმცირესობის საკულტო ნაგებობის რეგისტრაციასთან დაკავშირებით. რაც შეეხება თბილისში მეორე მეჩეთის მშენებლობის საკითხს, ნაციონალური უმცირესობის საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველმა განაცხადა, რომ თუ ამის სურვილი და საჭიროება იარსებებს, საქართველოს მუსლიმანებს შეუძლიათ ამ საკითხის დაყენება დამოუკიდებლად. „თუ მუსლიმანებისთვის თბილისში ერთი მეჩეთი საკმარისი არ არის, ისინი ამ საკითხს წამოწევენ. მაგრამ ჯერჯერობით ამაზე საუბარი არ მიდის. მთელ საქართველოში კი ძალიან ბევრი მეჩეთია“, – განაცხადა შამანიდმა. (პირველი რადიო)

## სამშვიდობო პარაკლისი „კაზანტიპის“ წინააღმდეგ



ანაკლიის ტაძრის სამღვდელოება და მრევლის ნაწილი „კაზანტიპის“ ფესტივალის ჩატარებას აპროტესტებს. ისინი მოსახლეობას მოუწოდებენ, არ მიიღონ მასში მონაწილეობა.

„ჩვენ გადავიხადეთ სამშვიდობო პარაკლისი იმასთან დაკავშირებით, რომ განსაზღვრულია, ჩვენთან საქართველოში, კერძოდ ანაკლიაში პორნო-ნარკო-ორგიის გამართვა. აქ იქნება გარყვნილებისა და ნარკომანიის წრეგადასული, აღვირახსნილი მასშტაბური გამოვლინება“. – განაცხადა მამა დავითმა.

„კაზანტიპი“ 20-დან 30 აგვისტოს ჩათვლით ანაკლიაში ჩატარდება. (news.ge)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# იმ კვირიდან „სითი პარკს“ თბილისიდან აძევებენ



**თბილისის საკრებულომ თბილისის მთავრობა დაამტკიცა. დამოუკიდებელმა დეპუტატმა ალეკო ელისაშვილმა მხოლოდ ორ კანდიდატს არ დაუჭირა მხარი. თბილისის მერის პირველი მოადგილის პოსტზე ალექსანდრე მარგიშვილსა და ნაძალადევის გამგებლის თანამდებობაზე — ზაზა გაბუნიას.**

**რა მიზეზით დაიწუნა ელისაშვილმა მთავრობის წევრობის 26 კანდიდატიდან მხოლოდ ეს ორი? დაიჭერენ თუ არა „სითი პარკის“ საქმეზე მერიის ყოფილ მაღალჩინოსნებს? დაანგრევენ თუ არა თბილისში უკანონოდ აშენებულ კორპუსებსა და სხვა შენობებს?**

**ამ და სხვა საინტერესო კითხვებზე, „ალიას“ ალეკო ელისაშვილი ესაუბრება:**

**— ალეკო, კონკრეტულად რა მიზეზების გამო არ მიეცით ხმა ალექსანდრე მარგიშვილსა და ზაზა გაბუნიას?**

– ალექსანდრე მარგიშვილი იყო ერთ-ერთი ყველაზე წარუმატებელი და ჩამორჩენილი სამინისტროს წარმომადგენელი. ბატონი მარგიშვილი კულტურის მინისტრის მოადგილე იყო. როცა სამინისტრო უმაქნისი და უვარგისია, პირველ რიგში, მინისტრი და მისი მოადგილეები არიან პასუხისმგებლები. მისი ბიოგრაფია დალაქავებულია სწორედ იმ ნაწილში, როცა ის ამ პოსტზე მუშაობდა. ასევე, ძალიან არ მომეწონა საყდრისთან დაკავშირებით მისი უპრინციპო პოზიცია. ის ერთ-ერთი ყველაზე უპრინციპო იყო ამ საკითხთან დაკავშირებით კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელებიდან. შესაბამისად, მე ძალიან დაბალი წარმოდგენა მაქვს ბატონ ალექსანდრე მარგიშვილზე. თუ ივარგებს მერიაში, ფეხს გამოაჩენს და ქალაქს გამოადგება, ჩემს სიტყვებს უკან წავიღებ.



**„ალექსანდრე მარგიშვილი იყო ერთ-ერთი ყველაზე წარუმატებელი და ჩამორჩენილი სამინისტროს წარმომადგენელი. ბატონი მარგიშვილი კულტურის მინისტრის მოადგილე იყო. როცა სამინისტრო უმაქნისი და უვარგისია, პირველ რიგში მინისტრი და მისი მოადგილეები არიან პასუხისმგებლები. მისი ბიოგრაფია დალაქავებულია სწორედ იმ ნაწილში, როცა ის ამ პოსტზე მუშაობდა“**

რაც შეეხება ზაზა გაბუნიას, თქვენ თუ მეტყვით ერთ არგუმენტს, რატომ უნდა მომწონებოდა ის ნაძალადევის გამგებლად, დაგეთანხმებით. ჯაბა სამუშია არის ნაძალადევის მაჟორიტარი და სავარაუდოდ, სწორედ სამუშია მიდგა-მოდგა და გაიყვანა გამგებლად. ეს ფაქტი არ მომწონს, არ ტოვებს კარგ შთაბეჭდილებას, რაღაც ისევ ნაცნობ-მეგობრობით თანამდებობაზე დანიშვნის სუნი უდის. რაც მთავარია, ზაზა გაბუნიასას არანაირი კვალიფიკაცია არ გააჩნია. არადა, ურთულესი რაიონია ნაძალადევი და ასეთი არასერიოზული გადაწყვეტილების მიღება, ძალიან დიდი შეცდომა იყო. რატომ ვატაროთ ექსპერიმენტები ნაძალადევის მოსახლეობის ხარჯზე? გამოცდილი, პროფესიონალი ხალხის მეტი რა არის? ასეთი ექსპერიმენტების შედეგად ვიღებთ გამდიდრებულ ჩინოვნიკებს და პრობლემებით დამძიმებულ რაიონებს. არ მინდა, რომ კიდევ ასე მოხდეს და იმიტომ არ მომეწონა მისი დანიშვნა.

**— ალეკო, საკრებულოს წევრებმა პერსონალურ ავტომანქანებზე უარი თქვანო, შენს ამ ინიციატივას საბოლოოდ რა ბედი ეწია?**

– საკრებულოს თავმჯდომარესთან გიორგი ალიბეგაშვილთან მქონდა ამ თემაზე საუბარი. მან მითხრა, რომ ორი კვირის განმავლობაში წარმოადგენს პროექტს, როგორ უნდა მოხდეს საკრებულოს ავტოპარკის ოპტიმიზაცია. ამ ორი კვირიდან ერთი კვირა უკვე გავიდა და ველოდები მეორე კვირის დასასრულს. ამასობაში, მე უკვე მაქვს ჩემი პროექტი, ზუსტად ერთი კვირის თავზე წარმოვადგენ მის პრეზენტაციას მედიისთვის, რათა დეტალურად გაიგოს ხალხმა, პერსონალური მანქანებიდან ავტოპარკზე გადასვლა რამხელა შეღავათს მისცემს ბიუჯეტს. მე დეტალურად მაქვს ყველაფერი დათვლილი.

**„საკრებულოს თავმჯდომარესთან გიორგი ალიბეგაშვილთან მქონდა ამ თემაზე საუბარი. მან მითხრა, რომ ორი კვირის განმავლობაში წარმოადგენს პროექტს, როგორ უნდა მოხდეს საკრებულოს ავტოპარკის ოპტიმიზაცია. ამ ორი კვირიდან ერთი კვირა უკვე გავიდა და ველოდები მეორე კვირის დასასრულს. ამასობაში, მე უკვე მაქვს ჩემი პროექტი, ზუსტად ერთი კვირის თავზე წარმოვადგენ“**

**— ავტოპარკზე გადასვლა, პირიქით, ხომ არ გაზრდის საკრებულოს წევრებისა და ავტომობილებით მომსახურების ხარჯებს? იმას ვგულისხმობ, რომ, თუ კონკრეტული, პერსონალური მანქანით ერთის ნაცვლად ბევრი ადამიანი ისარგებლებს, ეს საწვავის ხარჯსაც გაზრდის და მანქანის ნაწილების ცვეთასაც, რასაც შეკეთების ხარჯების გაზრდა მოჰყვება.**

– ოპტიმიზაცია სწორედ იმას ნიშნავს, რომ ზედმეტი დანახარჯები ავიცილოთ თავიდან და რაც ჩამოთვალეთ, ეგ ყველაფერი გათვალისწინებული მაქვს ჩემს პროექტში. ცვეთის ხარჯი არ მოიმატებს, რადგან ყველამ, ვისაც მანქანა დასჭირდება, უნდა აღნიშნოს სად იყო წასული, როგორ იყო, უნდა დააფიქსიროს კილომეტრაჟი და ეს ყველაფერი გაკონტროლდება მკაცრად. ცვეთისა და ბენზინის ხარჯი მაშინ იყო კატასტროფული, როცა საკრებულოს წევრები შაბათ-კვირა აგარაკებზე დაასეირნებდნენ ოჯახებს, მძღოლებს ბაზარში და სხვა საოჯახო

*გაგრძელება მე-8 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „თბილისის უსახელო ქუჩას ოთარ გურგენიშვილის სახელი მიენიჭოს“



„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე გამოდის ინიციატივით, თბილისის რომელიმე უსახელო ქუჩას ტრაგიკულად დაღუპული ოთარ გურგენიშვილის სახელი ეწოდოს.

„21 წლის ახალგაზრდა ნიჭიერმა პოეტმა თავისი სიცოცხლე გაიღო პატარა ბავშვის გადასარჩენად და აჩვენა უპრეცედენტო თავგანწირვა. ხშირად ვიხსენებთ წარსული დროის გმირებს და, საბედნიეროდ, ღმერთი ახლაც გვივლენს ისეთ ადამიანებს, რომლებიც გვაძლევენ მაგალითს, რას ნიშნავს მოყვასის სიყვარული. ოთარ გურგენიშვილის სახელობის ქუჩის არსებობა იქნება მაგალითი მომავალი თაობისთვისაც, რა იდეალებითა და რა პრინციპებით უნდა იცხოვრონ.

მივმართავთ ახლად არჩეულ თბილისის საკრებულოს, დაიწყოს აღნიშნულ საკითხზე მუშაობა, მით უმეტეს ქვეყნის პრემიერ-მინისტრმაც გამოთქვა თავისი პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით, როცა განაცხადა: „გმირულად დაღუპული ახალგაზრდა ოთარ გურგენიშვილი ნამდვილად იმსახურებს ჯეროვან დაფასებას და სახელის უკვდავყოფასო“. – აღნიშნულია ორგანიზაციის განცხადებაში. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## იაპონიამ რუსეთს ახალი სანქციები დაუწესა



იაპონიამ რუსეთს უკრაინაში შექმნილი ვითარების გამო ახალი სანქციები დაუწესა. სანქციები 40 ფიზიკურ პირსა და ორ კომპანიას შეეხო, რომლებიც ყირიმში სეპარატისტებს უჭერენ მხარს. სანქციები აღნიშნული პირებისა და კომპანიებისთვის აქტივების გაყინვას მოიცავს.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ იაპონიამ რუსეთთან გარკვეულ საკითხებზე ორმხრივი მოლაპარაკებები შეაჩერა და 23 ფიზიკურ პირს სავიზო შეზღუდვები დაუწესა. (ფრონტნიუსი)



## სააკაშვილის საქმეზე სააპელაციო საჩივარი სასამართლომ დაუშვებლად ცნო

მიხეილ სააკაშვილის, ზურაბ ადეიშვილისა და დავით კეზერაშვილის საქმეზე სააპელაციო საჩივრის განხილვა სააპელაციო სასამართლომ დაუშვებლად ცნო. სააპელაციო სასამართლოს პრესსამსახურის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

დავით კეზერაშვილსა და ზურაბ ადეიშვილს, რომლებიც, როგორც ცნობილია, საქართველოში არ იმყოფებიან, 7 ნოემბრის აქციის დარბევისა და „ტელეიმედში“ შეჭრის საქმეზე სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ედებათ ბრალად, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობს.

მათთან ერთად ბრალდებულები არიან პატიმრობაში მყოფი დედაქალაქის ყოფილი მერი გიგი უგულავა და შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ვანო მერაბიშვილი. მერაბიშვილსა და უგულავას პატიმრობა სხვა სისხლის სამართლის საქმეზე აქვთ შეფარდებული. ამ ეტაპზე პროკურატურას 7 ნოემბრის აქციის დარბევისა და „ტელეიმედში“ შეჭრის საქმეზე უგულავასა და მერაბიშვილის მიმართ აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობით სასამართლოსთვის არ მიუმართავს. (ინტერპრესნიუსი)

*მეშვიდე გვერდიდან*

საქმეებზე დაარბენინებდნენ ამ მანქანებით. მე დეტალურად დათვლილი მაქვს ყველაფერი და 432 000 ლარი იხარჯება მარტო საწვავზე. დღეში იხარჯება იმდენი ბენზინი, რაც პატრულის მთელი ეკიპაჟებისთვის თბილისში. იმ ვარიანტის მიხედვით, მე რომ ვთავაზობ საკრებულოს თავმჯდომარეს, 100 ათასი ლარი დაიზოგება წელიწადში. სამ წელიწად-ნახევარზე რომ გავამრავლოთ ეს თანხა, 350 ათასამდე ლარია და არ არის ეს ამხელა თანხა შეღავათი თბილისის ბიუჯეტისთვის? ჰკითხეთ ერთი თავად თბილისელებს, ეს არის თუ არა ბიუჯეტისთვის შეღავათი და უჭერენ თუ არა მხარს ამ სიახლეს? კაცს ვერ ნახავთ ამხელა ქალაქში, ეს ვარიანტი რომ არ მოსწონდეს. ეს საკითხი სადავო და საკამათოც კი არ უნდა იყოს.

**— „სითი პარკთან“ დაკავშირებით ახალი ხომ არაფერია? ხომ არ გასცნობიხართ ამ კომპანიასა და მერიას შორის გაფორმებულ იმ სკანდალურ კონტრაქტს, რომლის მხოლოდ დეტალებია ცნობილი და მერიის რომელიმე ჩინოვნიკის ბრალეულობა ხომ არ იკვეთება?**

– „სითი პარკის“ შესახებ ისაუბრა დავით ნარმანიამ. ჯერ ვაცლით, რადგან ახლა დამტკიცდა თბილისის მთავრობა. სავარაუდოდ, უკვე მეორე კვირაში, ამ საკითხს დავსვამთ საკრებულოში და მოსმენას დავნიშნავთ. ამ სხდომაზე მოვითხოვთ, რომ ამ 7 წლით გასაიდუმლოებული ხელშეკრულების მუხლები გახდეს საჯარო და ეს ძალიან ბევრ რამეს მოჰფენს ნათელს. მოკლედ, მომავალ კვირას უკვე უნდა დაისვას „სითი პარკის“ ქალაქიდან გაძევების საკითხი.

**— მე მგონი, მაგ საქმეს მერიის ბევრი ყოფილი მაღალჩინოსანი გადაჰყვება. შეუძლებელია, მარტო გიგი უგულავა იყოს დამნაშავე. მერიის იურიდიული, ფინანსური სამსახურები, ვიცე-მერები... ლოგიკურად, მათ გარეშე ეს თბილისელთათვის კაბალური ხელშეკრულება ვერ გაფორმდებოდა და ამ შავბნელ საქმეში გარეულნი იქნებიან. კონკრეტულად ხომ არ იცით, კიდევ ვისი თავები დაგორდება?**

– კონკრეტულად, ჯერ ვერაფერს ვიტყვი, ვინ რაშია გარეული, მაგრამ მარტო გიგი უგულავა რომ არ იქნება ამ საქმეში, ამის ძალიან დიდი ეჭვი მაქვს. ვინც არ უნდა იყოს გარეული ამ კონტრაქტში, მერიის ნებისმიერმა ყოფილმა ჩინოვნიკმა უნდა აგოს პასუხი, ვინც არ უნდა იყოს, რომელი სამსახურის ყოფილი უფროსიც არ უნდა იყოს. მეც ასე მგონია, კიდევ ბევრის თავი დაგორდება.



**„მარტო გიგი უგულავა რომ არ იქნება ამ საქმეში, ამის ძალიან დიდი ეჭვი მაქვს. ვინც არ უნდა იყოს გარეული ამ კონტრაქტში, მერიის ნებისმიერმა ყოფილმა ჩინოვნიკმა უნდა აგოს პასუხი, ვინც არ უნდა იყოს, რომელი სამსახურის ყოფილი უფროსიც არ უნდა იყოს“**

C.T. PARK

**„სითი პარკის“ შესახებ ისაუბრა დავით ნარმანიამ. ჯერ ვაცლით, რადგან ახლა დამტკიცდა თბილისის მთავრობა. სავარაუდოდ, უკვე მეორე კვირაში, ამ საკითხს დავსვამთ საკრებულოში და მოსმენას დავნიშნავთ. ამ სხდომაზე მოვითხოვთ, რომ ამ 7 წლით გასაიდუმლოებული ხელშეკრულების მუხლები გახდეს საჯარო და ეს ძალიან ბევრ რამეს მოჰფენს ნათელს“**

**— მერია და საკრებულო უკანონო მშენებლობებთან დაკავშირებით ერთსულოვანნი ხართ. ეს აკრძალვები დაწყებულ მშენებლობებსაც შეეხება?**

– დაწყებულსაც და ნებართვაგაცემულსაც, რომელიც ჯერ არ არის დაწყებული. მიმაჩნია, რომ ორი თვის განმავლობაში მორატორიუმი უნდა გამოცხადდეს და ყველა მშენებლობა შეჩერდეს. ცოტა მტკივნეული იქნება და ძალიან ხმამაღლა ჟღერს, მესმის, მაგრამ სჯობია, ეს ორი თვე მოვითმინოთ, სამაგიეროდ, ქალაქს საშვილიშვილო ზიანს არ მივაყენებთ ამ მშენებლობებით. ამ ორ თვეში, მშენებლობების ნებართვების რევიზია უნდა მოხდეს. თუ ნებართვა კანონიერია, ის მშენებლობა უნდა გაგრძელდეს, რაც შეუსაბამოა, სადაც კოეფიციენტი ხელოვნურადაა გაზრდილი და ნაბართვა უკანონოდ არის გაცემული, ის ნებართვა უნდა გაუქმდეს და ის მშენებლობები შეჩერდება.

**— თუ მშენებლობა უკვე დაწყებულია, რას იზამთ, დაანგრევთ?**

– თუ 2-3 სართულია ამოყვანილი, ასეთი მშენებარე ობიექტის კორექტირება მოხდება, სადაც ეს შესაძლებელი იქნება, ყველა მიმდინარე მშენებლობაზე ამას გავაკეთებთ.

**— უკვე დასრულებულ შენობებს რას უზამთ?**

– ახლა, სადაც 15 და 16 სართულიანი კორპუსებია აშენებული უკანონოდ და იქ ხალხიც შესახლებულია, ასეთ კორპუსებს რას ვუზამთ? ხომ არ დავანგრევთ? ცხადია, არ დავანგრევთ.

**— დადგება თუ არა იმ კონკრეტული ჩინოვნიკების პასუხისმგებლობის საკითხი, ვინც ამ მშენებლობის ნებართვა გასცა? მაგალითად, თბილისის „მთავარი ხუროთმოძღვრის“, მერიის არქიტექტურის სამსახურის ყოფილი უფროსის? მის დროს თბილისში ბევრი უსახური ნაგებობა აიგო, არაერთი ტყე-პარკი განადგურდა და ძველი თბილისის იერსახეც შეეწირა მის მიერ გაცემული ნებართვებით აშენებულ კორპუსებსა თუ სავაჭრო ცენტრებს.**

**„ცვეთისა და ბენზინის ხარჯი მაშინ იყო კატასტროფული, როცა საკრებულოს წევრები შაბათ-კვირა აგარაკებზე დაასეირნებდნენ ოჯახებს, მძღოლებს ბაზარში და სხვა საოჯახო საქმეებზე დაარბენინებდნენ ამ მანქანებით. მე დეტალურად დათვლილი მაქვს ყველაფერი და 432 000 ლარი იხარჯება მარტო საწვავზე“**

– მე დიდი სიამოვნებით მივაცილებ ვიღაც-ვიღაცებს „მატროსოვის“ ციხეში და დიდი ეჭვი მაქვს, ერთ და ორ ადამიანს არა. ვინც არ უნდა იყოს, ყველამ პასუხი უნდა აგოს იმისთვის, რაც ბოლო წლებში თბილისის გაუკეთეს, ქალაქი დაამახინჯეს, ძველი, ისტორიული შენობები კი არა, მთელი უბნები შეიწირეს, უამრავი ტყე-პარკი გაჩეხეს, ვილაცებს ჯიბეები რომ გაესქელებინათ და ახლა ჩვენ, მე და თქვენ, და თბილისის მოსახლეობამ უნდა ვზღოთ მათი დანაშაულის შედეგები. თუმცა, მათაც ვაზღვევინებთ ყველას, ვინც ამ უკანონობასა და განუკითხაობაში იყო ჩართული. დაუსჯელი არავინ არ უნდა დარჩეს, მეტი რაღა უნდა დაუშავო შენს ქალაქს, არ ვიცი.

**ლევან ჯავახიშვილი**
577 51 73 37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## სარფის საბაჟოზე ნარკოტიკების აღმოჩენაზე ძაღლებთან ერთად იმუშავებენ



შსს-ს ოპერატიული დანაყოფი, აშშ-ს სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობების საერთაშორისო ბიუროს მიერ დაფინანსებული კინოლოგიური პროექტის ფარგლებში, სარფის სასაზღვრო გამტარ პუნქტში ნარკოტიკების აღმოჩენის საკითხებზე სამომსახურეო ძაღლებთან ერთად იმუშავებს.

პროექტის ფარგლებში, შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროების წარმომადგენლებისგან შეიქმნა ოპერატიული დანაყოფი, რომელიც თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ნარკოტიკული საშუალებების აღმოჩენის საკითხებზე სამომსახურეო ძაღლებთან ერთად მუშაობს. ორივე უწყებისთვის შეძენილია 5 სამომსახურეო ძაღლი. ოპერატიული დანაყოფის წევრებმა, აღნიშნულ სამომსახურეო ძაღლებთან ერთად, ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმატებით გაიარეს რვაკვირიანი მომზადების კურსი, ასევე, გაეცნენ თურქეთის რესპუბლიკაში არსებულ სისტემას. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „კონსტიტუციაში ჯერ კიდევ არსებობს ბუნდოვანი ჩანაწერები“



პარლამენტის ვიცე-სპიკერის, მანანა კობახიძის განცხადებით, პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ, კონსტიტუციაში ახალი ნორმები ამოქმედდა, მაგრამ არსებობს ბუნდოვანი და გაურკვეველი ხარვეზების მქონდე ჩანაწერები, რომლის გამოსწორებაც აუცილებელია. მისივე თქმით, პრეზიდენტის, მთავრობის, ან პარლამენტის უფლებამოსილების გაზრდის ან შემცირების კუთხით, ჯერჯერობით რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

„თუ ჩვენ ვართ საპარლამენტო რესპუბლიკა და ეს ფაქტია, რომ ასეა, ცვლილებები სწორედ იმ მიმართულებით უნდა განვითარდეს, რომ გაძლიერდეს პარლამენტის როლი და ზოგადად საპარლამენტო რესპუბლიკისთვის დამახასიათებელი რეგულაციები იყოს კონსტიტუციით შემოტანილი“. – განაცხადა კობახიძემ. (რეპორტიორი)

## ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების ადგილზე დამატებითი ექსპერტიზა ჩატარდება



ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების ადგილზე დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფი დამატებითი ექსპერტიზის ჩატარებას გეგმავს.

გარდაცვლილის ძმის, ზურაბ კიწმარიშვილის განცხადებით, დამატებით ექსპერტიზას ოჯახის ინიციატივით, დამოუკიდებელ ექსპერტებთან ერთად, იურისტებიც ჩაატარებენ. ამ დროისთვის ცნობილია, რომ ჯგუფში ექსპერტები მაია ნიკოლეიშვილი და ზაზა ალთუნაშვილი შევლენ. (რეპორტიორი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# პედაგოგები საპროტესტო აქციებისთვის ემზადებიან?

როგორც „ალიამ“ შეიტყო, საზაფხულო არდადეგების მიუხედავად, პედაგოგები ხელფასის გაზრდის მოთხოვნით, საპროტესტო აქციებისთვის ემზადებიან. ამ მხრივ მიმდინარეობს სააგიტაციო მუშაობა, ვრცელდება პროკლამაციების მსგავსი ფურცლები და ამას ხელმძღვანელობს „პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრი“, რომლის თავმჯდომარეცაა დავით ფერაძე და წინა წლებშიც, პედაგოგების უფლებების დაცვის მოთხოვნით, არაერთი საპროტესტო აქცია გაუმართავს.

თავის მხრივ, პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხელმძღვანელი, მაია კობახიძეც ავრცელებს ინფორმაციას: „ფერაძესა და მის მხარდამჭერებს მასწავლებლის მდგომარეობა არც ადრე აწუხებდათ და არც ახლა აწუხებთ. მათი აქტივობა მხოლოდ პოპულისტურ მიზნებს ემსახურება და ყოფილი ხელისუფლების სატელიტი ორგანიზაციებიდან იმართება. რაც შეეხება მასწავლებელთა ხელფასების ზრდას, ეს „ღია კარის მტვრევაა“, რადგანაც განათლების სამინისტროსთან უკვე მიღწეულია შეთანხმება და ხელფასების ზრდა ეტაპობრივად განხორციელდება“.

**„ფერაძესა და მის მხარდამჭერებს მასწავლებლის მდგომარეობა არც ადრე აწუხებდათ და არც ახლა აწუხებთ. მათი აქტივობა მხოლოდ პოპულისტურ მიზნებს ემსახურება და ყოფილი ხელისუფლების სატელიტი ორგანიზაციებიდან იმართება. რაც შეეხება მასწავლებელთა ხელფასების ზრდას, ეს „ღია კარის მტვრევაა“**

ნამდვილად იგეგმება თუ არა მასწავლებელთა აქციები და თუ ხელფასები ისედაც უნდა გაიზარდოს, მაშინ ვის სჭირდება ე.წ. „ღია კარის მტვრევა?“

„ალიას“ ესაუბრება „პედაგოგთა საკოორდინაციო ქსელის“ ხელმძღვანელი **დავით ფერაძე:**

– კობახიძის განცხადება არის სასაცილო და აბსურდი. თქვენი გაზეთის მკითხველმა მაინც იცის, რომ სწორედ შაშკინის დროს რამდენჯერმე ლამის დამატოვებინეს სამსახური, ე.წ. „ბუნტოვშიკობის“ გამო და ეს ჩემი აქტივობა ეხებოდა ელექტრონული ჟურნალების შემოღებას, რომელიც მასიურ კონტროლს ემსახურებოდა. მაშინაც სულ მოვითხოვდი მასწავლებლებისთვის ხელფასების გაზრდას და ყველაზე საინტერესო ისაა, იმ დროს, როცა მაია კობახიძე სადღაც იყო მიმალული და მაშინდელ მთავრობას რევერანსებით ესაუბრებოდა, უნდა ვთქვა, რომ ერთადერთი პედაგოგი ვიყავი, ვინც გამოვდიოდი და მთავრობის ქმედებას ვაპროტესტებდი. მე მოვუწოდე ჩემს კოლეგებს არჩევნების წინ, რომ „ნაციონალებისთვის“ არ დაეჭირათ მხარი. ეს რაც შეეხება იმას, რამდენად ვარ შეკრული „ნაცებთან“. რაც შეეხება თავად კობახიძეს, რომელიც ამბობს, რომ პროფკავშირების წინააღმდეგ ბრძოლით ვარ თურმე ცნობილი, პროფკავშირში მუშაობის დროს, როცა მაია კობახიძე ჯერ კიდევ „ნაციონალების“ დროს ჭიქით ხელში მიშას სადღეგრძელოს ამბობდა, „მიშა მაგარიას“ იძახდა და ამის შესახებ სოციალურ ქსელში ვიდეომასალაც ვრცელდებოდა, შევახსენებ, რომ მაშინ ვიბრძოდი არა პროფკავშირის, არამედ პროფკავშირში არსებული კორუფციის წინააღმდეგ, რომელსაც მისი წინამორბედი ახორციელებდა და ამ ბრძოლით, სამწუხაროდ, ხელი შევუწყვე კობახიძის პროფკავშირში მოსვლას და მინდა, ეს კარგად ახსოვდეს მას.



**„კობახიძის აქტიურობა რამ გამოიწვია, გეტყვით: მან დაინახა, რომ ჩემ მიმართ ნდობა გაიზარდა, რადგანაც საკმაოდ ვაქტიურობ და ის აღმოჩნდა თამაშგარე მდგომარეობაში და რა ქნას? პედაგოგების მხარეს დადგება, ხელისუფლებას გაანაწყენებს, ხელისუფლების მხარეს დადგება, პედაგოგებს გაანაწყენებს, რადგანაც ისინი იტყვიან, მაშინ ასეთი პროფკავშირი რად გვინდაო და სიტუაციიდან გამოძრომას ლამობს“**

ამ დრომდე მინდოდა, რომ მასწავლებლებს შორის ერთიანობა ყოფილიყო, თავს ვიკავებდი, რომ შემეფასებინა პროფკავშირები, მაგრამ „თაგვმა თხარა“-ს პრინციპს თუ გავიხსენებთ, ეტყობა, კობახიძემ ეს ვერ გაითვალისწინა და მინდა, რომ მან კარგად იცოდეს და მას მოუწევს თავისი წინამორბედივით ჩემთან გამკლავება და მანანა ღურჭუმელიძის ბედის გაზიარება. ისე, ალბათ, შაშკინის ნება იყო, რომ კობახიძე გამხდარიყო პროფკავშირის უფრო ლმობიერი ხელმძღვანელი და თავადვე უწერია, რომ თურმე რაღაც დიალოგები აქვთ განათლების სამინისტროსთან, რომელიც არ ზრუნავს მასწავლებლებზე და მინდა, იცოდეს ყველა პედაგოგმა, რომ ასეთ პროფკავშირს მართლაც არ უნდა გადაუხადონ საწევრო. იმ პირობებში, როცა სამინისტროს მაღალჩინოსნები უამრავ პრემიას ირიგებენ, თურმე კობახიძეს, პროფკავშირების ხელმძღვანელს მიზანშეუწონლად მიაჩნია ხელფასი გაიზარდოს 1000 ლარამდეც კი.

**„როცა მაია კობახიძე ჯერ კიდევ „ნაციონალების“ დროს ჭიქით ხელში მიშას სადღეგრძელოს ამბობდა, „მიშა მაგარიას“ იძახდა და ამის შესახებ სოციალური ქსელში ვიდეომასალაც ვრცელდებოდა, შევახსენებ, რომ მაშინ ვიბრძოდი არა პროფკავშირის, არამედ პროფკავშირში არსებული კორუფციის წინააღმდეგ, რომელსაც მისი წინამორბედი ახორციელებდა და ამ ბრძოლით, სამწუხაროდ, ხელი შევუწყვე კობახიძის პროფკავშირში მოსვლას“**

**— რაც შეეხება აქციებს, მართლა იწყებთ საპროტესტო გამოსვლებს?**

– ის, რომ ან უნდა გაზრდილიყო ხელფასები და, ან შემოდგომიდან

*გაგრძელება მე-10 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## გურამ ოდიშარია პრემიერის მრჩევლად დაინიშნა



კულტურის ყოფილი მინისტრი გურამ ოდიშარია კონფლიქტის ზონაში არსებულ საკითხებთან დაკავშირებით პრემიერის მრჩევლად დაინიშნა. ოდიშარია აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობას 1-ლი აგვისტოდან შეუდგა.

ყოფილი მინისტრი სახალხო დიპლომატიის გზით იმუშავებს და პრემიერისთვის კონფლიქტის ზონაში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას მიაწვდის. (ნიუპოსტი)



## თბილისს ახალი მთავრობა ჰყავს

დედაქალაქს ახალი მთავრობა ჰყავს. თბილისის საკრებულომ მერის მოადგილეები, საქალაქო სამსახურების უფროსები და გამგებლები დაამტკიცა.

თბილისის მერის მოადგილეები იქნებიან: ალექსანდრე მარგიშვილი, ნინო ხატისკაცი, გიორგი ხელაია, გიორგი სოლომონია და ალუდა გოგლიჩიძე. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტის განხორციელება გაგრძელდება



თბილისის მერმა დავით ნარმანიამ თბილისის საკრებულოს სხდომაზე განაცხადა, რომ თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტის განხორციელება გაგრძელდება.

„თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტი დაწყებული იყო ისე, რომ გეოლოგია და სხვა წინა მოსამზადებელი სამუშაოები არ იყო გაკეთებული. ჩვენმა ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება ამ პროექტის გაგრძელებასთან დაკავშირებით. ის, რომ ამ პროექტის 80% იყო შესრულებული, არის სიცრუე. დახარჯულია დაახლოებით 200 მლნ აშშ დოლარი. ერთი მაგდენი კიდევ სჭირდება ამ პროექტის დასრულებას“, – განაცხადა ნარმანიამ. (ნიუპოსტი)




## ვარკეთილის მეტროსთან გოგონას მიკროავტობუსი დაეჯახა

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, გოგონას მსუბუქი დაზიანებები აღენიშნებოდა. ფაქტზე გამოძიება 276-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციის წესების დარღვევას ითვალისწინებს, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია. (ნიუპოსტი)

*მეცხრე გვერდიდან*

ვიწყებდი საპროტესტო აქციებს, ესაა შარშანდელი ჩემი მოთხოვნა და არა 2014 წლის! ესეც ვერ გაურკვევია კობახიძეს და, ჩემდა გასაკვირად, წერა-კითხვაც არ სცოდნია, მაშინ სწორედ კობახიძისნაირი დამქაშებისა და სხვა ფიგურების შემწეობით ჩაიშალა ეს აქცია, რის გამოც სანიკიძესთან მქონდა შეხვედრა.

**— ანუ წელს არ დაგიგეგმავთ არანაირი აქცია?**

– სხვათა შორის, ივლისის დასაწყისში მასწავლებლები მართლა აპირებდნენ გამოსვლებს, იმ დროს ჯერ კიდევ გადაღლილ პედაგოგებს შვებულებაში არ გვიშვებდნენ, რადგანაც მიმდინარეობდა მსჯელობა, რომ 50 დღიდან შვებულება 24 დღემდე შემცირებულიყო, ამ დროს ჩაბარებული წიგნების გადათვლის გამო ქანცი ჰქონდათ პედაგოგებს გაცლილი და ჩემი აზრი კი იყო, რომ დაველოდოთ სექტემბერს და უკვე მერე გადავწყვიტოთ ხელფასის მოთხოვნა-მეთქი.

კობახიძის აქტიურობა რამ გამოიწვია, გეტყვით: მან დაინახა, რომ ჩემ მიმართ ნდობა გაიზარდა, რადგანაც საკმაოდ ვაქტიურობ და ის აღმოჩნდა თამაშგარე მდგომარეობაში და რა ქნას? პედაგოგების მხარეს დადგება, ხელისუფლებას გაანაწყენებს, ხელისუფლების მხარეს დადგება, პედაგოგებს გაანაწყენებს, რადგანაც ისინი იტყვიან, მაშინ ასეთი პროფკავშირი რად გვინდაო და სიტუაციიდან გამოძრომას ლამობს.



„ჩვენ 1200 ლარს ვითხოვთ და ვიცით, რომ სქემა უნდა ამოქმედდეს პედაგოგთა პროფესიული განვითარების და ოფიციალურად აცხადებს სამინისტრო, რომ ამ სქემაზე იქნება მიბმული პედაგოგების ხელფასი, ვინც გადავა ახალ საფეხურზე, იმას მოემატება ხელფასიო. მაგრამ თუ რამდენი პროცენტით მოემატება, რა მიმართებაში იქნება ეს საბაზრო ფასებთან, ამაზე ინფორმაცია ოფიციალურად არსად დევს“

როგორც გითხარით, ჩვენ ჯერ არავითარი აქციები დაგეგმილი არ გვაქვს, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ აქციები დავიწყოთ, გააჩნია, საზოგადოებაში რა მზაობა იქნება. ამას იმიტომ ვამბობ, რომ შარშანდელივით მარტო მე რომ გავიდე საპროტესტოდ, ასე აღარ მინდა. ამიტომ ჯერ პრემიერს მივმართე ოფიციალურად, ხელფასების გაზრდის მოთხოვნით და შემდეგ ჩემი პირადი წერილი გამოქვეყნდა პრემიერის მიმართ და, ამას რომ მოჰყვა დიდი გამოხმაურება სოციალურ ქსელებში, საკითხში 5 000 პედაგოგის ჩართვამ შეაშფოთა ეს ხალხი. მე ვცილობდი, რომ არ შევხებოდი პროფკავშირს, მაგრამ ეს კარგად გაიაზრა კობახიძემ და მიხვდა, რომ მისი სიტყვის თქმა დისონანსს შეიტანდა ამ მოძრაობაში და ასრულებს ხელისუფლების დაკვეთას, როგორც ასრულებდა ადრე. რაც შეეხება პროკლამაციებს, სად მაქვს მე იმის ფინანსური შესაძლებლობა, რომ დავიარო სკოლები და პროკლამაციები ვარიგო? ამიტომ ერთადერთი ჩემი საშუალება არის ის, რომ ინტერნეტის საშუალებით სოციალურად აქტიურ პედაგოგებს ვუკავშირდები და ვმსჯელობთ ამ საკითხებზე: რა ვქნათ, როგორ შევცვალოთ სიტუაცია და ამასობაში გამოიკვეთება, დავიწყოთ აქციები, თუ არა. ვიმეორებ: თუკი მზაობა იქნება, ცხადია, გამოსვლები უნდა დაიწყოს და სრულიად შესაძლებელია, რომ ის დასახელებული თანხა, რასაც ვითხოვთ, პედაგოგს მიეცეს. ჩემს ორგანიზაციას რაიმე შეხება პროფკავშირთან არ აქვს, როგორც კობახიძე არასწორად ფიქრობს, მე ვარ ჩვეულებრივი პედაგოგი და „საკოორდინაციო ცენტრიც“ სპეციალურად არ არის ოფიციალურად დაფუძნებული, რადგანაც არ დადანაშაულდეს ვინმესგან დაფინანსებაში, მასში რამდენიმე პედაგოგია გაერთიანებული, რომლებიც კოორდინაციას გაუწევენ იმას, მომავალში რა დავგეგმოთ და რა გავაკეთოთ ერთობლივად და მიზანს რომ მივაღწევთ, ამ ცენტრის არსებობაც დასრულდება.

**— რაც შეეხება მაია კობახიძის განცხადებას, რომ განათლების სამინისტროსთან უკვე მიღწეულია შეთანხმება ხელფასების გაზრდის შესახებ?**

– აქაც ცრუობს კობახიძე, რადგანაც ჩვენ თავის დროზე მივმართეთ მაშინდელ მინისტრს გიორგი მარგველაშვილს, რომ გადაესინჯა ხელფასების ნორმატიული აქტი, ამას მოჰყვა ზეგანაკვეთური ხუთლარიანი ანაზღაურება და ის, რომ სერტიფიცირებულ პედაგოგებზე რომ არ იძლეოდნენ დანამატს, თუ არ იქნებოდა პედაგოგს 18 საათი, ესეც შეიცვალა. ამას მაშინაც დაუპირისპირდა კობახიძე, რომელიც ამბობდა, რომ მე არარეალურად ვაფასებდი ბიუჯეტს და არარეალურ თანხებს ვითხოვდი. რაც შეეხება კობახიძის განცხადებას, არსად პედაგოგისთვის თანხის მომატებაზე არ წერია, არსად არ არის ეს გაწერილი და ოფიციალურად არ დევს და მივმართავ მას: სად წერია, რომ ხელფასი 1000 ლარამდე უნდა გაიზარდოს? ისე, ცნობისთვის, ჩვენ 1200 ლარს ვითხოვთ და ვიცით, რომ სქემა უნდა ამოქმედდეს პედაგოგთა პროფესიული განვითარების და ოფიციალურად აცხადებს სამინისტრო, რომ ამ სქემაზე იქნება მიბმული პედაგოგების ხელფასი, ვინც გადავა ახალ საფეხურზე, იმას მოემატება ხელფასიო. მაგრამ, რამდენი პროცენტით მოემატება, რა მიმართებაში იქნება ეს საბაზრო ფასებთან, ამაზე ინფორმაცია ოფიციალურად არსად დევს. ამიტომ რას ეყრდნობა მისი განცხადება და რა შეთანხმებას მიაღწია პროფკავშირმა, გაუგებარია, ვის შეუთანხმდა? რა ზღაპრებს გვიყვება? რაც შეეხება ბიუჯეტის სიმცირეს, რა პრობლემაა, ბიუჯეტში ცვლილება ჯერ არ მომხდარა? იქ სადაც ხვრელებია, საიდანაც ფული გაედინება, სამინისტროში ზოგიერთ პარალელურ სტრუქტურებს მოაკლონ ფული და გადმოქაჩონ ეს პედაგოგებისკენ და თუ სურვილი აქვთ, ამასაც დავუთვლით, არსებული ბიუჯეტიდან მასწავლებლებს როგორ მოუმატონ ხელფასები.



„ჯერ პრემიერს მივმართე ოფიციალურად, ხელფასების გაზრდის მოთხოვნით და შემდეგ ჩემი პირადი წერილი გამოქვეყნდა პრემიერის მიმართ და, ამას რომ მოჰყვა დიდი გამოხმაურება სოციალურ ქსელებში, საკითხში 5 000 პედაგოგის ჩართვამ შეაშფოთა ეს ხალხი“

**ამის შემდეგ ვუკავშირდებით პედაგოგთა თავისუფალი პროფკავშირის ხელმძღვანელს მაია კობახიძეს, რომელსაც მოკლედ ვუყალიბებთ ფერაძის ინტერვიუში გამოთქმულ მოსაზრებებს.**

**— ფერაძე ამბობს, არავითარ აქციებს არ ვაპირებთ და ეს ინფორმაცია, რაზეც კობახიძე საუბრობს, შარშანდელიაო.**

– ჯერ იმას გეტყვით, რა რევერანსებს ვუკეთებდი მთავრობას: როცა დავით ფერაძე იბრძოდა ჩვენი პროფკავშირის წინააღმდეგ და მისი თქმით, ებრძოდა კორუფციას, მე ვიყავი მასწავლებელი და არა ორგანიზაციის ხელმძღვანელი. ამ დროს ფერაძე გამოდიოდა ტარას შავშიშვილთან ერთად ამ ორგანიზაციის ავტორიტეტის შესალახად. ეს იყო 2009-10 წლები და 2012 წლის გაზაფხულზე ფერაძემ დაიწყო ახალი შემოტევა ჩემი და ორგანიზაციის წინააღმდეგ, ის რევერანსებს უკეთებდა დიმიტრი შაშკინს, რომელიც ასევე იბრძოდა ჩვენი პროფკავშირის წინააღმდეგ. რაც შეეხება ხელფასის მატების საკითხს, ვთქვი და ვიმეორებ, რომ ესაა ღია კარის მტვრევის პრინციპი, როცა ღიაა სამინისტროს კარი, მიმდინარეობს მოლაპარაკება და ითვალისწინებენ პროფკავშირის ინიციატივებს და ასეთ შემთხვევაში აქციები და პროკლამაციების გავრცელება ჩვენთვის მიუღებელია.

**„მინდა, იცოდეს ყველა პედაგოგმა, რომ ასეთ პროფკავშირს მართლაც არ უნდა გადაუხადონ საწევრო. იმ პირობებში, როცა სამინისტროს მაღალჩინოსნები უამრავ პრემიას ირიგებენ, თურმე კობახიძეს, პროფკავშირების ხელმძღვანელს მიზანშეუწონლად მიაჩნია ხელფასი გაიზარდოს 1000 ლარამდეც კი“**

**— არ ვავრცელებო, კაცი ამბობს.**

– თვითონ მასწავლებლებმა გვითხრეს, რომ ფერაძისგან მიიღეს წერილობითი ინფორმაციები, რასაც უწოდეს პროკლამაცია და სადაც ფერაძე ცდილობდა მასწავლებლების მობილიზაციას კანცელარიასთან...

**თამარ ოქრუაშვილი**

599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სააკაშვილი და მერაბიშვილი ვალერი გელაშვილის ცემის ფაქტზე პასუხისგებაში მიეცნენ

საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ვანო მერაბიშვილი დეპუტატ ვალერი გელაშვილის ცემის ფაქტზე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცნენ. პროკურატურის განცხადებით:



„საქართველოს პარლამენტის წევრ ვალერი გელაშვილზე 2005 წელს მომხდარი შეიარაღებული თავდასხმისა და მისი ცემის საქმეზე საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მხილებულ იქნენ ამ დანაშაულის ორგანიზატორები: საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ივანე მერაბიშვილი.

გამოძიებით დადგინდა: 2005 წლის 29 ივნისს, გაზეთ „რეზონანსში“ გამოქვეყნდა საქართველოს პარლამენტის იმჟამინდელი წევრის ვალერი გელაშვილის სტატია სათაურით „ვალერი გელაშვილი თავის სახლს სააკაშვილს დაუთმობს“. აღნიშნულ სტატიაში ვალერი გელაშვილი გამოთქვამდა უკმაყოფილებას მოქმედი პრეზიდენტის მიმართ, კერძოდ, იმასთან დაკავშირებით, რომ მას წაართვეს ქონება, რომლის ღირებულებასაც არ უნაზღაურებდნენ. ამავე სტატიაში მან შეურაცხმყოფელი ფორმით ისაუბრა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პირადი ცხოვრების შესახებ.

აღნიშნული სტატიის გამოქვეყნების შემდეგ, მიხეილ სააკაშვილმა ვალერი გელაშვილის სამაგალითოდ დასჯის მიზნით, პირადი შურისძიების მოტივით, საქართველოს თავდაცვის იმჟამინდელ მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს დაავალა, მოეხდინა ვალერი გელაშვილის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორება, რაზედაც ირაკლი ოქრუაშვილისგან მიიღო უარი. ამის გამო, მიხეილ სააკაშვილმა ვალერი გელაშვილის ფიზიკური ანგარიშსწორება დაავალა საქართველოს შინაგან საქმეთა იმჟამინდელ მინისტრს ივანე მერაბიშვილს.

დავალების მიღების შემდეგ ივანე მერაბიშვილმა მის დაქვემდებარებაში მყოფი სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის დირექტორის ერეკლე კოდუას ორგანიზებით უზრუნველყო მიხეილ სააკაშვილის დავალების ზედმიწევნით შესრულება, რომელიც განხორციელდა 2005 წლის 14 ივლისს. კერძოდ, სოდ-ის ოპერატიულმა თანამშრომლებმა და შეიარაღებული სპეციალური რაზმის მებრძოლებმა, ქ. თბილისში, მირცხულავას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე გადაადგილებისას, მოახდინეს ვალერი გელაშვილის მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანის ბლოკირება, რის შემდეგაც თავს დაესხნენ ვალერი გელაშვილს და მის თანმხლებ პირებს. ერეკლე კოდუას დავალებითა და სოდ-ის სამმართველოს უფროსის გიორგი სირაძის ხელმძღვანელობით, მოქმედმა სპეციალური რაზმის მებრძოლებმა ძალის გამოყენებითა და ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით ავტომანქანიდან თანმხლებ პირებთან ერთად გადმოიყვანეს ვალერი გელაშვილი, რომელიც დააწვინეს ასფალტზე და იარაღის კონდახებით სასტიკად სცემეს.

დანაშაულებრივი ქმედების შედეგად ვალერი გელაშვილმა მიიღო: ქალა-ტვინის ტრავმა, სახის ძვლების მრავლობითი მოტეხილობა, ნახეთქი ჭრილობა ცხვირისა და შუბლის არეში, ზედა და ქვედა ყბის ძვლების მოტეხილობა.

ვალერი გელაშვილის მიმართ მომხდარი ძალადობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო 2005 წლის 14 ივლისს, თუმცა იმ პერიოდში საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად არ განხორციელებულა არც ერთი ქმედითი საგამოძიებო მოქმედება და 2013 წელს საქმეზე გამოძიების განახლებამდე აღნიშნული ფაქტი იყო გაუხსნელი.

ხსენებულ ფაქტზე, 2014 წლის 24 აპრილს პასუხისგებაში მიეცნენ ერეკლე კოდუა და გიორგი სირაძე სსკ-ის 333-ე მუხლის მესამე ნაწილით და ვინაიდან ისინი თავს არიდებენ გამოძიებას, მათ მიმართ გამოცხადებულია ძებნა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ საქართველოს პარლამენტის წევრის ვალერი გელაშვილის ცემის ფაქტი საქართველოს პროკურატურის მიერ სრულად გახსნილია და ამ დანაშაულისთვის ბრალდებები გამოტანილია მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ერეკლე კოდუას და გია სირაძის მიმართ.

მიხეილ სააკაშვილისა და ივანე მერაბიშვილის მიმართ გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3-დან 8 წლამდე ვადით“, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


# რა ინანა ბიძინა ივანიშვილმა „სახალხო კრებასთან“ შეხვედრაზე?

**„თეთრების“ ლიდერი, თემურ შაშიაშვილი აცხადებს, რომ „ადამიანები, რომლებსაც არასდროს არაფერი უკეთებიათ, ხალხს არ უნახავს. იმ დროს გამოდიან არენაზე, როცა ხელისუფლებას უჭირს. ისინი ბევრად უფრო საშიშები არიან, ვიდრე „ნაციონალური მოძრაობა“. „ნაციონალურ მოძრაობაზე“ ხალხს ჩამოყალიბებული პოზიცია აქვს და ყველამ იცის, რომ, თუ „ნაციონალურ მოძრაობას“ მომავალი ექნება ქვეყანაში, მაშინ საქართველო დასრულდება. ბიძინა ივანიშვილმა სერიოზული შეცდომა დაუშვა, როცა ისეთი პოლიტიკური ძალები დააფინანსა, რომლებიც ქვეყნისთვის საფრთხის შემცველები არიან. არავინ არ უნდა დაეფინანსებინა მას, ყველასთვის ერთნაირი სასტარტო პირობები უნდა მიეცა“.**

„ალიას“ „თეთრების“ ლიდერი, **თემურ შაშიაშვილი** ესაუბრა:

**— ბატონო თემურ, ვინ იგულისხმეთ იმ ადამიანებში, რომლებიც მაშინ გამოდიან არენაზე, როცა ხელისუფლებას უჭირს?**

– ძალიან ბევრი პარტია იქმნება სახელისუფლებო პარტიის მიერ, მისი ფუნქცია არის, რომ მუდმივად იყოს არენაზე, ვიღაცა ლანძღოს, ვიღაცაზე მუდმივად ისაუბროს. მე მინდა, რომ პოლიტიკოსის კრიტიკა კონსტრუქციული იყოს, საქმეზე ვილაპარაკოთ, ლანძღვის პოლიტიკამ, რომელიც ბოლო დროს წამოვიდა, აბსოლუტურად დასვარა მთელი პოლიტიკური სივრცე. რომელ პოლიტიკოსებსაც ფული აქვთ, ისინი ჩანან ტელევიზიით, ვისაც ეროვნული განწყობა აქვს, ყველას ბლოკავენ. ერთადერთი, სადაც არ ვიზღუდებით, არის გაზეთი. პოლიტიკოსებს, რომელთაც დაცვა, მანქანები, სასახლეები აქვთ და კიდევ ეფერებიან, სწორედ ამიტომ დააქციეს ამ პოლიტიკოსებმა ქვეყანა და დღემდე აგრძელებენ ამას.

მოხდა სასწაული, ახალგაზრდა პოეტმა ბავშვი გადაარჩინა, თავი გაწირა და ერთი ტელევიზია არ აღმოჩნდა, რომ ეს ამბავი გაეშუქებინა, სამაგიეროდ თურქეთის მაღაზიაში რომ ერთმა ქართველმა პური მოიპარა, ამას გადმოგვცემენ ტელევიზიები. მე მივხვდი ერთ სამწუხარო რამეს, ქართველმა კაცმა გმირობა ჩაიდინა და მისი ჩვენება არავის არ უნდა, რადგან მერე სოროსული ძალები ვერ იპარპაშებენ ქვეყანაში. არავის უნდა, ქართული ეროვნული სახე თუ წამოიწევს. იმ საღამოს ქვეყნის დამანგრეველი, უტიფარი სააკაშვილი იჯდა ყველა არხზე და რუსთავში იმ დროს ვეთხოვებოდით გმირ ქართველს. ვინც დაგვახრჩო, გენოციდი მოგვიწყო, იმას უთმობენ ტელევიზიას.

დღეს გაზეთი მიტოვებულია ყველას მიერ, არავინ მას არ ეხმარება. კი, მაგრამ, თუ გაზეთი იმ დოზით არ აჩვენებს „ნაციონალებს“, რატომ აკეთებენ ამას ტელევიზიები? მე ვიცი ამის პასუხი, ტელევიზიას სჭირდება რესპონდენტი, რომელიც გააყიდვინებს პროდუქტს, რადგან მას ბევრი ფული აქვს. საქართველო მაშინ დაიქცა, როცა ხელისუფლება ცდილობს, თავისი ტელევიზია ჰქონდეს. სწორედ ფულით ხდება ხალხის დამორჩილება. ყველა ტელევიზიის უკან დგას შავი ძალები.



**— კონკრეტულად რა ძალებს გულისხმობთ?**

– მაგალითად, ცხონებულ პატარკაციშვილს ვეუბნებოდი, რა უბედურებაა ეს, საკუთარი ტელევიზია რომ გინდა-მეთქი. ასე იყო შევარდნაძე, ასე გააკეთა ივანიშვილმაც. ბადრიც მიმტკიცებდა მაშინ, თავისუფალი ტელევიზია მაქვსო, მაგრამ ასეა არაა, შეიძლება შექმნა, მაგრამ უნდა გაათავისუფლო ის მერე შენგან. „იმედი“ სულ იდგა პოლიტიკურ პლატფორმაზე, როგორც კი ბადრის არ დავეთანხმე, რომ მისი პარტიის პოლიტიკური ფიგურა ვყოფილიყავი, მე მის არხზე დავიბლოკე.

**— რას გეუბნებიან თქვენი უცხოელი მეგობრები, როცა ამ საკითხებზე ესაუბრებით მათ? ხელისუფლების ქმედებებზე რა პოზიცია აქვთ, არის დემოკრატიულობის ნიშანი „ნაციონალებისთვის“ ხშირად ტრიბუნის მიცემაო?**

– პირად საუბარში არავინ არ ამბობს ამას. მეუბნებიან, ჩვენი პოზიციაა, რომ პრეზიდენტი არ უნდა დარჩენილიყო ერთი წელი, ხელმოწერები რომ დაიწყეთ მისი გადაყენების მოთხოვნით, სწორი იყოო. ეს უცხოელები პირად საუბარში სულ სხვა რამეს ამბობენ, ტელევიზიებთან - სულ სხვას. სააკაშვილი უხვად უხდიდა უცხოელებს, რომლებიც ამბობდნენ, ქვეყანა თავზე გექცევათ, თქვენი პრეზიდენტი მთელ ბიუჯეტს იხდის იმიტომ, რომ პიარი იყიდოს, პოლიტიკოსები იყიდოს უცხოეთშიო. პირად საუბრებში მეუბნებოდნენ, როგორ ითმენდით და ითმენთ, ასე რომ გასხედან თავზეო. 70 წელი კრემლი გეჯდათ თავზე, ახლა 20 წელზე მეტია, თეთრი სახლი გაზითო. ამიტომაა, მუდმივად რომ ვლაპარაკობ, ერთიც და მეორეც უბედურებაა. თუ ღირსება გაქვს, თეთრი სახლი არ უნდა დაისვა თავზე.

დღეს ყველა პოლიტიკური ძალა, რომელიც ტელევიზიით ჩანს, ესაა საპარლამენტო უმრავლესობა, თუ უმცირესობა, ყველა მისია. ამიტომ გაზეთები არ აშინებს ხელისუფლებას, რადგან დასავლეთი ტელევიზიას უფრო აქცევს ყურადღებას. სულ არ ადარდებს არჩევნები უცხოეთს, მას მხოლოდ ის უნდა, ან „ნაციონალურმა“ მოძრაობამ გაიმარჯვოს, ან „ოცნებამ“. ხალხი ვართ სიბნელეში მოქცეული და ამიტომ გეუბნებით, ნუ ვისვამთ თავზე გარედან მართულ პოლიტიკოსებს. საქართველოს პარლამენტში არ არის პოლიტიკური ძალა, რომელიც გარედან არ იმართება. ეჭვი მეპარება, რომ „რესპუბლიკელების“ შეყვანა არ იყო ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილება, ისევე, როგორც ალასანია არ იქნებოდა. ერთიც და მეორეც ამერიკული პროექტია. ეტყობა, მაშინ ივანიშვილმა გაიტანა თავისი და შეიყვანა თოფაძე და „ფორუმი“. ახლა რომელიმე ჩანს? ვინმე მათ უსმენს? რომელიმეს რაიმე ძალა აქვს? ეროვნული განწყობის „ფორუმი“ მოკვდა ქვეყანაში.

**— ხშირად მომისმენია, „ნაციონალები“ გაქცევაზე არიანო, მაგრამ რაღაც ვერ ვატყობ. თქვენ გსმენიათ ვინმეზე, რომ გარბოდეს?**

– ამ ხელისუფლებამ იცის, რომ ყველას დაჭერა არ ვარგა, ამიტომ უნდა მოხდეს ისე, რომ ვიღაც გაიქცეს, ვიღაც იყოს ციხეში. „ნაციონალებმა“ გადაწყვიტეს, ან ციხეში იყვნენ, ან გაიქცნენ, ხოლო ვინც დარჩებიან, ყველაფერი გააკეთონ იმისთვის, რომ პარლამენტში დარჩნენ. პარლამენტში წარმოდგენილი გუნდი ისაუბრებს იმათი სახელითაც, ვინც უცხოეთში არიან გაქცეულები, ხოლო ციხეში წასულ „ნაციონალებს“ გაახმოვანებენ ისინი, ვინც გარეთ დარჩებიან. დაპატიმრებას გადაურჩებიან ისინი, ვისაც მძიმე დანაშაულთან შეხება არ ჰქონია და არის ასეთი ხალხიც. ისინი არიან სექტის წევრები, ღირსეული კაცი ამ ყველაფრის მერე ამ ორგანიზაციაში როგორ დარჩებოდა, აბა? სექტის პრინციპით არიან შეკავშირებულები და ერთმანეთის გატანას ცდილობენ.

**— თქვენი აზრით, ეყოფა ხელისუფლებას იმის გამბედაობა, რომ სააკაშვილი ჩამოიყვანოს და გაასამართლოს?**

– იმდენად ბევრი შეცდომა დაუშვა სააკაშვილთან ურთიერთობაში ხელისუფლებამ, რომ მეტი არ შეიძლება. ვიდრე ივანიშვილი ხელისუფლებაში მოვიდოდა და დიდ ტალღაზე იყო, თქვა ისეთი რამ, რომელმაც აღფრთოვანებაში მომიყვანა. თუ სააკაშვილი არ გადადგება, რომ მოვალ ხელისუფლებაში, იმპიჩმენტს მოვუწყობო. მოგვიანებით, ერთ-ერთ შეხვედრაზე, კერძოდ, „სახალხო კრებასთან“, რომელსაც მხოლოდ მე და ნინო ბურჯანაძე არ ვესწრებოდით, თქვა გულისტკივილით, ხომ ხედავთ, რა დღეში ვარ, ველარ ვამბობ იმას, რაც ადრე ვთქვიო, როგორც კი სიტყვა იმპიჩმენტი ვახსენე, უცხოეთმა მითხრა, აღარ გაიმეოროო. როცა ეს გავიგე, მაშინ დავრწმუნდი, რომ ამ ხელისუფლებას არ ჰყოფნის ძალა, თქვას და გააკეთოს. მოდიან პოლიტიკოსები, იტყვიან ერთს და საქმე ვერ მიჰყავთ ბოლომდე, რადგან შორიდან თითს უქნევენ. სანამ საქართველოში იქნება ასეთი ხელისუფლება, როცა გარედან აძლევენ დირექტივებს, მანამდე არ გვეშველება. სააკაშვილს ამათ არ დააჭერინებენ იმის მიუხედავად, რომ არც უცხოეთში აღარ სიამოვნებთ მისი ქცევები.

**— რას გულისხმობთ?**

– დასავლეთში ბევრს უნდა სააკაშვილის დაჭერა, რადგან ცუდად მოძრაობს. ის სადღაც უნდა გაჩერდეს, რადგან სახიფათოდ იქცა. მაგრამ რაკი მისი დაპატიმრების პრეცედენტი არ აწყობთ, ამას ყველანაირად ხელს შეუშლიან.

**ჟანა ასანიძე**
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ბაღდათში საკრებულოს რამდენიმე დეპუტატი „ჩაკეტეს“



ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ასარჩევად დანიშნული სხდომა გადაიდო. დეპუტატებმა თავმჯდომარის მოადგილის არჩევა ვერც მესამე ცდაზე შეძლეს.

სხდომის ჩაშლის მიზეზად კვორუმის არარსებობა დასახელდა, თუმცა საკრებულოს წევრების განცხადებით, აღნიშნული მიზეზი სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან, როგორც დეპუტატები აღნიშნავენ, საკრებულოს თავმჯდომარე გრიგოლ მაჩიტაძემ და ბაღდათის გამგებელმა ირაკლი გეგეშიძემ სხდომაზე დასასწრებად მისული დეპუტატები გამგებლის კაბინეტში შეიყვანეს და იქ ჩაკეტეს. „ოთახში ჩაგვკეტეს და მოგვატყუეს, გარეთ არაფერი ხდებაო“, – ამბობს ბაღდათის საკრებულოს წევრი პეტრე გელხვიძე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეობაზე პრეტენზიას საკრებულოში „ქართული ოცნების“ კვოტით გასული თინა კელენჯერიძე აცხადებს. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ივანიშვილი ყველა თავის მტერს გეგმაზომიერად, აუჩქარებლად მოუღებს ბოლოს...“



ირინა სარიშვილი სოციალურ ქსელში ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ მიმართულ აგრესიას ეხმიანება და განცხადებას ავრცელებს:

„ვადევნებ თვალყურს ბოლოდროინდელ მოვლენებს და უნებურად, საერთოდ რომ არ მინდა, ისე, ერთი შეკითხვა მიტრიალებს სულ თავში: ეს ის ხალხი არ არის, „ნაცებს“ ვგულისხმობ, ვისაც ბიძინა ივანიშვილი, როგორც თავად გვარწმუნებს, წლების განმავლობაში აფინანსებდა, დაწყებული „ვარდების რევოლუციიდან“, მათი მთავრობაში ყოფნით გაგრძელებული?! კი, ის ხალხია!

და ამ შეკითხვიდან გამომდინარე, კიდევ ერთი კითხვა მებადება: რა გარანტია მაქვს მე, რომ მათი დღევანდელი ჩვენებები ასევე არ ფინანსდება?!!! არ ტოვებს არც მერაბიშვილის, არც უგულავას, არც კოდუას ჩვენება-ინტერვიუები იმ შთაბეჭდილებას, რომ პროკურატურის გასაგონად ამბობდეს რომელიმე რამეს... სააკაშვილზე ხომ აღარაფერს ვამბობ! ეჭვი არ მეპარება, რომ ივანიშვილი ყველა თავის მტერს გეგმაზომიერად, აუჩქარებლად მოუღებს ბოლოს, ტყუილად კი არ შეარქვეს მას „მახრჩობელა“ (**удав**), მაგრამ ვის და და კრიტერიუმით ჩათვლის ის მტრად და რას მივიღებთ შედეგად?!! მაფიქრებს ნაცებისთვის „სატოპკესავით“ გადაგდებული ქმედებები, რომლებიც მხოლოდ ძალიან გულუბრყვილოთა აღფრთოვანებას იწვევს, უდიდესი ნაწილი კი დაფიქრებულია, ხოლო რაც შეეხება ნაცებს, იქ სრული მობილიზაციააა...

და კიდევ, ერთი ფრაზა არ მომწონს, რომელიც კოდუამ ბადრი პატარკაციშვილთან, როგორც მკვლელობის დამკვეთთან დაკავშირებით, გაჭირვებით, მაგრამ მაინც წარმოთქვა... არ იყო ეს პროკურატურისთვის ნათქვამი... ივანიშვილისა და პატარკაციშვილის „თბილი“ ურთიერთობები არავისთვის საიდუმლო არ არის!!! არ ვიცი, არ ვიცი... ივანიშვილი ნამდვილად ბოლოს მოუღებს თავის მტრებს, ცოცხლებსაც და გარდაცვლილებსაც, მაგრამ რამდენი იქნება ამ სიაში იმავდროულად საქართველოს მტერი და რამდენი ღირსეული ქართველი, ძნელი სათქმელია...“ – წერს ირინა სარიშვილი. (რეპორტიორი)

CIAN MAGENTA YELLOW BLACK



თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ბაჩო ახალაიას მეუღლე ანი ნადარეიშვილი „ფეისბუკით“ სტატუსს ავრცელებს: „ნავთლუღის სპეცოპერაციის ორიდან ერთ-ერთი მთავარი მოწმე ტრისტან წითელაშვილი, რომელიც სასამართლოზე ცრუობდა, რომ სპეცოპერაციას შეესწრო, უბრალოდ, მატყუარა აღმოჩნდა, მან იცრუა სასამართლოს წინაშე და ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. მოწმე იმედა ბედიანაშვილი (ნავთლუღის ავტოსადგურის დარაჯი): ტრისტან წითელაშვილი სპეცოპერაციის მეორე დღეს მოვიდა სამსახურში, ანუ ობიექტზე. მას ჩვენმა დარაჯმა თამაზ ჯანელიძემ, რომელიც შეესწრო იმ ღამეს სპეცოპერაციას, ვინაიდან მორიგე იყო, მოუყვა წინა ღამის სპეცოპერაციის ამბები. ტრისტან წითელაშვილი იმ ღამეს იქ არ ყოფილა, ვინაიდან ჩემს თვალწინ ამ ისტორიას პირველად ისმენდა. ეხლა რამდენიმე თვის წინ მე დამიბარეს პროკურატურაში დავით



# ანი ნადარეიშვილი ტრისტან წითელაშვილს ცრუ ჩვენების მიცემაში ადანაშაულებს

## რას აცხადებს საპატიო გენერალი ,,ალიასთან“

**ძნელაშვილმა და დარეკა ტრისტან წითელაშვილთან და დამალაპარაკა, ტრისტანმა მითხრა, რომ მიმეცა ცრუ ჩვენება! პ.ს. ტრისტო, გაები ჩიტო მახეში?“ - აცხადებს ნადარეიშვილი.**

**„ალიას“ საპატიო გენერალი ტრისტან წითელაშვილი ესაუბრა:**

**— ბატონო ტრისტან, იცნობთ ბედიანაშვილსა და ჯაფარიძეს?**

– ბედიანაშვილი ჩემი თანამშრომელი იყო, ის მართლაც მუშაობდა ნავთლუღის სადგურზე, მაგრამ ის დღის „სმენაში“ მუშაობდა. დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე, სადგურის ტერიტორიაზე იცავდა საზოგადოებრივ წესრიგს. ამას იმიტომ გეუბნებით, რომ შეუძლებელია, რამე ენახა მას ღამით. ეს სპეცოპერაცია მოხდა 8 საათის შემდეგ. როცა ბედიანაშვილი მიდიოდა სამსახურიდან, ტერიტორია თვალთვალის ქვეშ დგებოდა. შემოვლით ჯგუფში ხან მე ვიყავი, ხან სხვა იყო. ამიტომ გაურკვეველია, ბედიანაშვილს იქ იმ დროს რა უნდა დაენახა, როცა მე ვიყავი. ამის შემდეგ ის სამსახურიდან საერთოდ წავიდა და რა ისაუბრა, რა ჩვენება მისცა, აღარ ვიცი, რადგან რეალურად მე მას აღარ შევხვედრივარ.

**— იცით ამ ჩვენების შესახებ, რაც ბედიანაშვილმა მისცა?**

– მე ეს არ ვიცი, მაგრამ ის კი ვიცი, რა ჩვენება მივეცი სასამართლოს იმაზე, რაც ვნახე 2006 წლის 12 იანვარს.

**— თქვენ თქვით, ჩემთან აღარ მუშაობსო, რა მოხდა ამის შემდეგ, რამე უსიამოვნება ხომ არ მოგივიდათ, ან ვინმემ ხომ არ აწარმოა მასთან მოლაპარაკება?**

– 2007 წელს წავიდა ის სამსახურიდან, ვერ გეტყვით, რა მიზეზით, რადგან, როგორც ვიცი, ოჯახური პრობლემები ჰქონდა. მე ისიც არ ვიცოდი, რომ საქართველოში იმყოფებოდა, ვიცოდი, რომ საზღვარგარეთ წავიდა სამუშაოდ. როგორც მე ვიცი, მას არავინ დამუქრებია, არც სამსახურიდან გაგვიგდია, არც ზეწოლის ქვეშ ყოფილა. ალბათ, არსებობს მიზეზი, რის გამოც წავიდა და კარგი იქნება, თუ ამ კითხვებს პასუხს გასცემს.

**— ფაქტია, რომ ამ სტატუსში ანი ნადარეიშვილი ეყრდნობა ბედიანაშვილის ჩვენებას, რომელსაც უთქვამს, რომ მაშინ იქ არ ყოფილხართ.**

– თუ ბედიანაშვილმა სასამართლოს ეს ჩვენება მისცა, მაშინ ის ცრუობს, რადგან მას არც ევალებოდა და არც ყოფილა ნავთლუღის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე. ვიმეორებ, ის 7 საათზე ამთავრებდა ხოლმე სამსახურს და ხანდახან 5 საათზეც წასულა. ღამე იქ არ რჩებოდა და როგორ დაინახავდა, იქ რა ხდებოდა? მე ხშირად დავდიოდი სადგურის ტერიტორიაზე როგორც დღის განმავლობაში, ისე ღამით, ვამოწმებდი გუშაგებსაც და მთელ ტერიტორიას. არაა გამორიცხული, ეს ადამიანები ჩემს წინააღმდეგ დაირაზმნენ და გააქტიურდნენ. ეს ანი ნადარეიშვილი უამრავ დეზინფორმაციას ავრცელებს ჩემს წინააღმდეგ. არც იმას გამოვრიცხავ, რომ მას შეხვედროდნენ, დალაპარაკებოდნენ და რაღაცებზე შეთანხმებულიყვნენ. რახან ნადარეიშვილმა ბედიანაშვილზე დაყრდნობით ეს განცხადება გააკეთა, ალბათ, არის გარკვეული გარიგება მათ შორის. საქმე ისაა, რომ ნადარეიშვილს მე საერთოდ არ ვიცნობდი, არც არასდროს მქონია ურთიერთობა, თავის დროზე მხოლოდ მამამისთან მქონდა ურთიერთობა, როცა აფხაზეთში ვიბრძოდი. მისი გააქტიურება მოხდა მას შემდეგ, რაც მე პროკურატურას მივეცი ჩვენება, რომელიც რეალობაზეა დაფუძნებული. ამ ჩვენებას გაეცნო მისი მხარე, რის მერეც დაიწყო ნადარეიშვილმა ჩემს წინააღმდეგ გააქტიურება. ათასგვარი ჭორი დამიყარა, ხან რუსეთის აგენტობა დამწამა, წითელი გენერალი ხარო, მაგრამ ამ ჭორებს არ გამოვდევნებივარ. სხვა ინსტანცია არსებობს ამის გასარკვევად.

**— რას გულისხმობთ, სასამართლოში წახვალთ?**

– ველოდები კიდევ სხვა ბრალდებების გადმონთხევას ამ ქალბატონისგან და როგორც წესია, ღირსებისა და პატივის შელახვისთვის მივმართავ სასამართლოს. იქ გასცეს პასუხი ყველა ამ ცილისწამებას და დაამტკიცოს. მისმა მეუღლემ, ბაჩო ახალაიამ ოფიციალურად განაცხადა სასამართლოზე, ჩემს ძმას რუსეთის აგენტურის სია აქვს და იქ ეწერა ტრისტან წითელაშვილი, ამიტომ დავაპატიმრეთო. ჩემი ადვოკატი შეკრებს ყველა ცილისმწამებლურ ინფორმაციას და მივმართავთ კანონს.

იმ სასამართლოს მერე როგორ განვითარდა მოვლენები, ესაა მთავარი და დღემდე არ მითქვამს ამის შესახებ. ჩემს წინააღმდეგ დაირაზმნენ, გააქტიურდა სატელეფონო ზარები, მუქარები, თვალთვალი. მე ამოვიცანი ყოფილი სპეცრაზმელები, რომლებიც ქუჩაში იდგნენ და მითვალთვალებდნენ. ამოვიცანი სპეცმანქანაში მყოფი ახალაიას გუნდის წევრები, რომლებიც დღემდე დამდევენ. კარგად იცოდნენ მათ, რომ მე არაფრის მეშინია. მე ვიცი, რომ ვარ მართალი, სასამართლოს მივეცი ობიექტური ჩვენება, დავუდე წინ ის, რაც მოხდა ჩემს თვალწინ. ჩემი მოქალაქეობრივი ვალი იყო, ის დანაშაული მეთქვა, რაც მათ ჩაიდინეს სადგურის ტერიტორიაზე, როგორ ჩახოცეს ეს ბიჭები და დაუულაგეს წინ იარაღი. ისინი ვერ დამაშინებენ, დღესაც მზად ვარ, ნებისმიერ ინსტანციაში გავიმეორო ის, რაც წინასწარი გამოძიების დროს ვთქვი. ის, რაც დავინახე, მეხსიერებაში მაქვს და ვერავინ წაშლის. გააგრძელონ მუქარა, კი ბატონო, მაგრამ ამის სურვილს მე დავუკარგავ მათ.

**— ეს როგორ?**

– იმ ადამიანებს, რომელნიც დღეს უკუღმართობას ფიქრობენ, ყველას დავუკარგავ ამის ინტერესს. ხმამაღლა ვაცხადებ, ამ ადამიანებს არ მიხედავს ხელისუფლება, მივხედავ მე, კანონი არ იკანონებს, მე აღვასრულებ. როგორ? არსებობს მოგერიების მრავალი სახე, თავდაცვის საშუალებები, სამხედრო პირი ვარ და ეს არ მეშლება. ჯერ ველოდები კანონის აღსრულებას, თუ ეს არ მოხდა, ნახავს საზოგადოება, რასაც ვიზამ. მე ვალდებული ვარ, საკუთარი თავი და ოჯახი დავიცვა.

**— მუქარის გარდა, რამე შემოთავაზებაც ხომ არ გქონიათ მათი მხრიდან? როგორც წესი, „ნაციონალები“ ამ გზასაც მიმართავდნენ ხოლმე.**

– სანამ პროკურატურა ამ საქმეების გამოძიებას დაიწყებდა, მაშინ ორჯერ გამოვედი სატელევიზიო ეთერით და განვაცხადე ნავთლუღის სპეცოპერაციასთან დაკავშირებით და მოვუწოდე პროკურატურას, დავეკითხე. ჩემზე გამოვიდნენ და შემომითვალეს, რა გინდა, რატომ ხმაურობ, დაეტიე და მოგხედავთო. მოგვიანებით სამსახურიც შემომთავაზეს, ტკბილი კოშკების აგება დაიწყეს. ითხოვდნენ, კონკრეტული ადამიანების შესახებ ჩვენება მიმეცა და კარგ თანამდებობას მომცემდნენ. როცა ამაზე კატეგორიული უარი მიიღეს, გადავიდნენ ურთიერთობის მეორე ეტაპზე. ააჭრელეს სოციალური ქსელები, გამოიყენეს პრესა, ტელევიზია და უნდოდათ ჩემი ავტორიტეტის შელახვა, რომ ჩემი იმიჯი საზოგადოებაში შელახულიყო, არანორმალური, არასანდო და არაადეკვატურ პირად წარმომაჩენდნენ. ახალი ხელისუფლება რომ მოვიდა და დავინახე, კანონი იკანონებდა, ვთქვი სიმართლე, თორემ წინა ხელისუფლების პირობებში ამის თქმას რა აზრი ჰქონდა? თავის თავს დაიჭერდნენ? ადამიანები დახოცეს და იმის მაგივრად, რომ მოძღვრებთან იარონ, შენდობა სთხოვონ, ცოდვები მოინანიონ, მომავლისთვის ილოცონ, აქეთ გვმოძღვრავენ. მეეჭვება, რომელიმე ეკლესიამ მაგათ მიუტევოს, რაც ჩაიდინეს.

**— 4-დან 7 წლამდეა ცრუ ჩვენების მიცემაზე. თუ გიჩივლეს და მოწმე პირზე დაგადგათ, რას აპირებთ?**

– მოვიქცევი ისე, როგორც სასამართლო პროცესზე, მივცემ იგივე ჩვენებას, რაც მივეცი პროკურატურას, მერე კანონი განსაზღვრავს, მივეცი თუ არა ცრუ ჩვენება.

**,,იმ ადამიანებს, რომელნიც დღეს უკუღმართობას ფიქრობენ, ყველას დავუკარგავ ამის ინტერესს. ხმამაღლა ვაცხადებ, ამ ადამიანებს არ მიხედავს ხელისუფლება, მივხედავ მე, კანონი არ იკანონებს, მე აღვასრულებ. როგორ? არსებობს მოგერიების მრავალი სახე, თავდაცვის საშუალებები, სამხედრო პირი ვარ და ეს არ მეშლება. ჯერ ველოდები კანონის აღსრულებას, თუ ეს არ მოხდა, ნახავს საზოგადოება, რასაც ვიზამ. მე ვალდებული ვარ, საკუთარი თავი და ოჯახი დავიცვა“**

**ჟანა ასანიძე**

558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### აზერბაიჯანული არტილერია სრულ მზადყოფნაშია



ფრონტის წინა ხაზზე განლაგებული აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების საარტილერიო დანაყოფები სრულ სამხედრო მზადყოფნაშია მოყვანილი. გავრცელებული ინფორმაციით მათ მიზანში სომხეთის არმიის საცეცხლე სიმაგრეები და სამხედო ბაზები აქვთ ამოღებული. „ჩვენმა საარტილერიო ქვედანაყოფებმა, პოზიცია დაიკავეს და მზადყოფნაში არიან, სისტემას შეუძლია ფრონტის სიღრმეში სომხეთის არმიის სამხედრო ობიექტები გაანადგუროს, მათ დამანგრეველი ძალ აქვს", – აცხადებს აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი ოფიცერი. (პირველი რადიო)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

### სანქციების გამო რუსეთი გადასახადების გაზრდას აპირებს



ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის მიერ დაწესებული სანქციების გამო, რუსეთის მთავრობამ შესაძლოა, გადასახადები გაზარდოს.

რუსეთის პრემიერ დიმიტრი მედვედევის თქმით, რუსეთის მომავალი წლის ბიუჯეტის ფორმირებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას ეკონომიკის ამჟამინდელი მდგომარეობა და დასავლეთის სანქციები.

მედვედევი აღიარებს, რომ სანქციებმა უარყოფითად იმოქმედა რუსეთის ეკონომიკაზე, კომპანიებსა და ბანკებს დიდი პრობლემები შეექმნათ და არსებული სიტუაცია უარყოფითად მოქმედებს ინვესტიციებზე. (ნიუპოსტი)

## თამარ ჩერგოლეიშვილი: „ცოტა მძინავს, მაგრამ თუ მძინავს – ცოტა თუ გამაღვიძებს“



ამის შესახებ თამარ ჩერგოლეიშვილი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე წერს.

– ცოტა მძინავს, მაგრამ თუ მძინავს – ცოტა თუ გამაღვიძებს. სტამბულში ჩავჯექი თვითმფრინავში, დაიძრა თუ არა – დავიძინე.

მშიოდა – საჭმლის სუნმა გამაღვიძა. საათს დავხედე, „აფრენიდან“ ორი საათი გასული, არადა თვითმფრინავის ტელევიზორი მიჩვენებს, რომ დანიშნულების ადგილამდე იგივე დროა დარჩენილი, რაც „აფრენისას“ იყო.

ვიფიქრე, გავგიჟდი. გამცილებელმა საჭმელი მომაწოდა და ვკითხე, რა ხდება-მეთქი ჩემს თავს.

თურმე თვითმფრინავი აფრენილა, სენსორები გაფუჭებია, დამჯდარა, გაუკეთებია და თავიდან აფრენილა.

მე კი ტკბილად მეძინა, – წერს ჩერგოლეიშვილი.

*pia.ge*

## თორნიკე ყიფიანი – „ოქტომბერში ვფიქრობ დიდი კონცერტის ჩატარებას“



მომღერლის თქმით, რომ არა ხალხის მხარდაჭერა, ის ისევ ძველი ცხოვრებით განაგრძობდა ცხოვრებას.

– „ბრავოსთან“ უნდა ვითანამშრომლო. ალბომის გამოშვება გეგმაშია, ჯერ მასალა დასალაგებელია. ჩემზეა დამოკიდებული, როგორ გამოვიყენებ მოგებულ პრიზებს. ვფიქრობ, არ გავანზიდებ არც ოჯახის წევრებს და არც იმ 67 პროცენტს, რომელიც მხარში დამიდგა. ოქტომბერში ვფიქრობ დიდი კონცერტის ჩატარებას. ელექტრონულ მუსიკას ვაკეთებ, ვიძენ აპარატურას. ხალხის მართლა მადლიერი ვარ. მათ გარეშე ისევ ისე ვიქნებოდი, როგორც აქამდე ვცხოვრობდი. ძალიან გახარებული ვარ, მადლობა, მადლობა და მადლობა, – აცხადებს ყიფიანი.

*primetimenews.ge*

## ამ უსახური რეკლამით აპირებთ მსოფლიოს გაოცებას? – მანჩო გიორგობიანი მთავრობას



მანჩო გიორგობიანი საქართველოს ახალ სამიჯო რეკლამას იწუნებს და საქართველოს მთავრობას გამოფხიზლებისკენ მოუწოდებს. შენიშვნებს „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე განთავსებული ძველი სარეკლამო რგოლებიც ერთვის.

მანჩო გიორგობიანი:

– ასეთი უაზრო და უსახური სამიჯო რეკლამით აპირებთ მსოფლიოს გაოცებას?! ჩვენ ნამდვილად გაგვაოცეთ კიდევ ერთხელ... პიარი კი არა, იდიოტების სზროდი გიზით!

გიორგი ებრალიძის გაკეთებული სარეკლამო რგოლები მაინც გაგვხსენებოდათ, სხვა თუ არავინ...

*newposts.ge*

## ღორობა ჰქვია მაგას – ნანუკა ჟორჟოლიანი პროკურატურას



ტელეწამყვანი ნანუკა ჟორჟოლიანი ვალერი გელაშვილის ცემის ფაქტზე მიხეილ სააკაშვილისა და ვანო მერაბიშვილის პასუხისგებაში მიცემის ფაქტს ეხმაურება.

– პროკურატურამ რამდენიმე თვის წინ თქვა, კოდუამ წაიკითხა სტატია, სადაც გელაშვილი პრეზიდენტზე ცუდს ამბობდა, გაბრაზდა და სცემაო (ურაპატრიოტიაო რა, ან სხვა რამეო, არ დავწერ აქ). პროკურატურა დღეს ამბობს, უი, უი, შეგვეშალაო, კი არ წაიკითხა და გაბრაზდაო, მიშამ ვანოსო, ვანომ კოდუასო, კოდუამ სირაძესო, სირაძემ კიდევ ვიღაცებს დაავალაო. მოკლედ, ვალერი გელაშვილი მთელმა ხელისუფლებამ სცემა ერთადო, ე ბიჯო, როგორც ჩემი ცოტნე იტყოდა სტატიაზე ბრალის წაყენება ვის გაუგია:))) თქვენ და გარეთ რომ ხალხს აშარდვინებთ, მანდ ზიხართ ჩუმად და ეწევით? ეგ ცუდია ძაან. სხვებსაც უნდა მოაწევინოთ:) ღორობა ჰქვია მაგას:), – წერს ჟორჟოლიანი „ფეისბუკზე“.

საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ვანო მერაბიშვილი დეპუტატ ვალერი გელაშვილის ცემის ფაქტზე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცნენ.

ბრალის დამტკიცების შემთხვევაში მათ 3-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

*newposts.ge*

## შენს გაჩენას სჯობდა აბორტი გაეკეთებინა დედაშენს! გათახსირებული კაცი ხარ შენ, შალკა!!!. – კვაჭანტირაძე ნათელაშვილს



გათახსირებული კაცი ხარ შენ, შალკა!!!. – ასე მიმართავს „ფეისბუკის“ გვერდიდან საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ზვიად კვაჭანტირაძე „ლეიბორისტების“ ლიდერს შალვა ნათელაშვილს.

– პრემიერ-მინისტრად რომ დაპატიჟე ბიძინა ივანიშვილი და სასაცილოდ არ ეყო არავის, მაშინ ბიძინას ფულებზე არ ოცნებობდი? გათახსირებული კაცი ხარ შენ, შალკა!!! მიშას რეალური შნირი ხარ მინიმუმ 15 წელია უკვე... საზოგადოების ხორცმეტი ხარ და სიტყვას ვერ ბედავ მიშას წინააღმდეგ. შენ იყავი და რჩები ნაცების რეალურად დასმულ „შეურიგებელ ოპოზიციად“. ყოველთვის კარგად გრძნობდი თავს და დღესაც ფუფუნებაში ცხოვრობ. არამზადა და ნაძირალა ხარ, არასდროს გამილანძღიხარ ხმამაღლა, მაგრამ დღეს პირველად და საბოლოოდ ვიტყვი – შენნაირებზე ხომ არაა ნათქვამი, რომ შენს გაჩენას სჯობდა აბორტი გაეკეთებინა დედაშენს? ბოდიში ჩემს მეგობრებს და ყველას, თავი ვერ შევიკავე... ახლა კი უკვე მეცინება ამ ჯოკერის ბოდვებზე, – წერს ზვიად კვაჭანტირაძე.

*newposts.ge*

## ნატა მურვანიძე: „მადლობა ინგა გრიგოლიას, რომ პატარკაციშვილის ცირკის კადრი გამოიყვანა და მაგრად გაგვართო“



მსახიობი ნატა მურვანიძე „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე ინგა გრიგოლიას გადაცემას ეხმაურება, რომელსაც გადაცემაში შალვა ნათელაშვილი ჰყავდა მიწვეული.

– ნათელაშვილი არის ცირკაჩი. მადლობა ინგა გრიგოლიას, რომ პატარკაციშვილის ცირკის კადრი გამოიყვანა და მაგრად გაგვართო. მე მყავდა ძალიან მაგარი პედაგოგი ლეონარდ პტი, კლოუნი, რომელიც დავალებას კარგად რომ შევასრულებდით, წითელი ცხვირით გვაჯილდოებდა. ამ ცხვირზე ვოცნებობდით და თავს ვიკლავდით შრომით. მე ყველაზე გვიან დავიმსახურე. შალვა ნათელაშვილი ხელის ჩამორთმევისთანავე გახდებოდა ნიუ-იორკის ლა მამმას დასის წევრი. მე ვარ შალვისტი! – წერს მსახიობი.

*pia.ge*



## ვის მოიაზრებდა გიორგი ლიფონავა ცოტნე ცოტაშვილის როლზე

მსახიობ ზურა ავსაჯანიშვილის თქმით, მთელი სერიალი ცოტნე ცოტაშვილის ზურგზე დგას.

– შემოთავაზება მქონდა „ჩემი ცოლის დაქალებიდან“, სადაც პოლიტიკოსის, ცოტნე ცოტაშვილის როლზე ვიყავი მიწვეული. სხვათა შორის, ძალიან მომწონს ახლა ვინც თამაშობს, ძალიან მაგარია. მე რომ გიორგი ლიფონავას შევხვდი, მაშინ „ბაბულიკების“ თემის ამ პერსონაჟითა და მისი ცხოვრებით ჩანაცვლება უნდოდა. მე არ მაქვს დიდი გამოცდილება ეკრანთან და მერთულა. სინჯი გავიარე, მაგრამ მაშინ არ მეცალა, თეატრში ძალიან დატვირთული ვიყავი. მერე რომ ვნახე ამ ბიჭის მიერ განსახიერებული პერსონაჟი, ძალიან მომეწონა. ეტყობა, რომ კარგი მსახიობია, ფაქტია, რომ მთელი სერიალი მის ზურგზე დგას, – აცხადებს ავსაჯანიშვილი „რეიტინგთან“ საუბრისას.

*reitingi.ge*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



გურული ტრაბახობს:

– რასაც თავში ჩევიდებ, ყოლიფერი მახსოვს!

– ჩემი ვალი რო გაქ და ფული უნდა მომცე, მაი რეიზა არ გახსოვს, ძამა?

– მაი შენი ფული ძამა თავში კი არა, ჯიბეში ჩევიდევი და იმიზა!..

*****

– ქორწილის შემდეგ სიდედრი ჩემთან მხოლოდ ერთხელ ჩამოვიდა...

– ვაა, ბედნიერი კაცი ყოფილხარ!

– ჰო... და უკან აღარც წასულა...

*****

თვითმფრინავი აფრინდა და მხოლოდ ამის შემდეგ გაირკვა, რომ 100 მგზავრისთვის მხოლოდ 40 ულუფა სადილი იყო მომარაგებული. სტიუარდესამ გამოაცხადა:

– ვინც სადილზე უარს იტყვის და საჭმელს სხვა მგზავრებს დაუთმობს, დანიშნულების ადგილამდე ალკოჰოლს უფასოდ მიიღებს.

საათ-ნახევრის შემდეგ სტიუარდესა ისევ აცხადებს:

– თუ რომელიმე მგზავრმა გადაიფიქრა, მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ 38 ულუფა სადილი ჯერ კიდევ გვაქვს...

*****

სიტუაცია მაღაზიაში:

– გოგონი, თუ შეიძლება, ხაჭო, არაჟანი და იოგურტი მინდა.

– შვილისთვის მიგაქვთ, ალბათ, არა?

– უი, შვილისთვის... კინაღამ დამავიწყდა... ორი კოლოფი სიგარეტიც დამიმატეთ!..

*****

– ალო, გაუმარჯოს! როგორ ხარ?

– რა ვიცი, აგერ, ზედმეტი კილოგრამების მოშორებას ვცდილობ.

– ვაა, სპორტულ დარბაზში ხარ?

– არა, ტუალეტში!..

*****



ჭიჭიკიამ ქორწილში ისე მაგრად ითამადა, პირველ ღამეს აყურებინეს!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

## ყველაზე ხშირი ტრავმები... სექსის დროს



ალბათ, არავისთვის უნდა იყოს საიდუმლო, რომ პორნოფილმებში ან „კამასუტრაში" ნანახი პოზების გამეორების მცდელობა ვნებიან საყვარლებს საძინებლიდან პირდაპირ საავადმყოფოში უკრავს ხოლმე თავს. სწორედ ამ საკითხით დაინტერესდნენ ბრიტანელი მეცნიერები, რომლებმაც ყველაზე გავრცელებული სექსუალური ტრავმების ერთგვარი რეიტინგი შეადგინეს და შედეგებით საზოგადოების გაკვირვებაც შეძლეს.

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ პრობლემა გამოგონილი სულაც არ ყოფილა. კერძოდ, სტატისტიკის თანახმად, სექსის დროს თუნდაც უმნიშვნელო ტრავმა მაინც, ყოველ მესამე ინგლისელს აქვს მიღებული. ამასთანავე, გამოკითხულდა 40 პროცენტი გამოტყდა, რომ ვნებიან ღამეს ჩადენილი სიგიჟეების საფრთხე მხოლოდ დილითღა გაუცნობიერებია.




რესპოდენტების 60 პროცენტის თქმით, საწოლში „მამაძაღლობისას" ნამდვილად არ ჰქონია სურვილი, ქცევები ეკონტროლებინა, დაახლოებით 10 პროცენტი კი იძულებული გამხდარა, სექსის შემდეგ კლინიკაში წასულიყო და მკურნალობის კურსის გავლა დაეწყო.

ბრიტანელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ყველაზე სახიფათო იმ მაგიდაზე შერწყმა ყოფილა, რომელზეც რამდენიმე წუთით ადრე რომანტიკული ვახშამი შედგა, რადგან ძალიან ხშირად, პარტნიორები დამტვრეული ბოთლებისა და ჭიქების ნამსხვრევებით სერიოზულ და საშიშ ჭრილობებს იღებენ.

ასევე, ძალიან სახიფათო ადგილად დასახელდა სადარბაზო, რადგან ხშირია შემთხვევა, როცა წყვილი კიბეებზე გორდება. არ არის რეკომენდებული სექსი ავტომობილში, მით უმეტეს, თუ მას სიჩქარეთა გადაცემის მექანიკური კოლოფი აქვს – რამდენიმე თვის წინ ახალგაზრდა ბრიტანელები ხევში გადაჩეხილან და...

– სახიფათოა სამზარეულოს მაგიდა, სკამი, ტუალეტი და... ოფისის კარადაც, – ასეთია სპეციალისტების რჩევა.

ყველაზე უფრო ვნებიანი პარტნიორები გამოტყდნენ, რომ მათ დაუმტვრევიათ საწოლი, გაუმტვრევიათ კედელი და მეზობელთან აღმოჩენილან, ჩაუმტვრევიათ ფანჯრები და ასე შემდეგ.

***factroom.ru***

## სამხრეთ კორეელი მამაკაცები არჩევანს ვერ აკეთებენ – მეძავი თუ საჩუქარი?



– თუკი პირობას დადებთ, რომ მსუბუქი ყოფაქცევის ქალებთან ურთიერთობას შეწყვეტთ, უამრავი საჩუქრით დაგაჯილდოებთ, – ზუსტად ასეთ დაპირებას აძლევს სამხრეთ კორეის გენდერული თანასწორობის სამინისტრო.

როგორც ირკვევა, მეძავებთან ურთიერთობაზე უარის თქმის სანაცვლოდ, აღნიშნული სახელმწიფო უწყება ძლიერ სქესს ფულად პრემიებს გადასცემს, თანაც, საკმაოდ სოლიდურს (ზუსტი ოდენობა არ კონკრეტდება). გარდა ამისა, იგეგმება მამაკაცების გულის სხვა პრიზებით მოგებაც. მაგალითად, კინოთეატრის ბილეთებით, მუზეუმების უფასო აბონემენტებით და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

დასთანხმდნენ თუ არა უკვე ხელისუფლების ამ ცანცარულ წინადადებას სამხრეთ კორეელი მამაკაცები, არ კონკრეტდება, ჩვენ კი ის გვაკვირვებს, რომ იქაურმა ჩინოვნიკებმა კონკრეტული ადამიანების ლიბიდოს გამო ბიუჯეტის სახსრების გამოყენება გადაწყვიტეს, თუმცა ასეთივე მიზეზით არც საქართველოს ბიუჯეტს ედგა უკეთესი დღე, თანაც, კორეაში ამას მაინც არ მალავენ.



ისე, რა უნდა გკითხოთ, იცით, ძვირფასო მკითხველო? ასეთი უცნაური იდეებით შეპყრობილ ადამიანებს რომ ვუყურებთ, იქნებ, მახათების წარმოების ერთობლივი ბიზნესი წამოგვეწყო, ჩვენც ვიხეირებდით და ბევრის მადლსაც მოვისხამდით...

***vesti.ru***

## სიგარეტის ნამწვებს სასარგებლო მიზნებისთვის გამოიყენებენ



ჭრელი ქვა რომ იპოვონ ჩინელებმა, იმასაც სახლში წაიღებენ, „ოჯახი ხრამიას" პრინციპით, თუმცა რაღა ჭრელ ქვას მივადექით, რადგან ისინი ხომ სიგარეტის ნამწვებსაც კი აღარ უვლიან გვერდს და საკმაოდ საინტერესო ფუნქციაც დააკისრეს.

კერძოდ, ჩინელ მეცნიერებს აღმოუჩენიათ, რომ ნამწვების გადამუშავებისგან მიღებული ექსტრაქტი ფოლადის კოროზიის შესანიშნავი დამცავი საშუალება ყოფილა.



როგორც აღმოჩნდა, ნიკოტინი და კიდევ რამდენიმე სახეობის ნივთიერება, რომელსაც ჩინელი სპეციალისტები სიგარეტის ნამწვების გადამუშავებისგან იღებენ, მთელი 95 პროცენტით აფერხებს ნავთობის მილების კოროზიის სიჩქარეს.

– ქიმიური ექსტრაქტის მილებზე დატანა ძალიან ეფექტურად ებრძვის მის დაზიანებას, – განმარტავენ ჩინელები, რომლებიც ამ აღმოჩენით ერთდროულად ორი კურდღლის დაჭერას შეძლებენ. პირველი: ისინი მნიშვნელოვნად შეამცირებენ მილების შეკეთების ხარჯებს და მეორე: ეკოლოგიურ პრობლემებსაც მოაგვარებენ, რადგან ყოველწლიურად ხომ გარემოში დაახლოებით 4,5 ტრილიონი ნამწვი ვრცელდება...

***mainfun.ru***

## სვირინგში ხნის დამატებას ლეიკემიის გამოწვევა შეუძლია?



სხეულის სვირინგებით დამშვენებას შესაძლოა, ძალიან მძიმე შედეგები მოჰყვეს, თუკი მასში არა ჩვეულებრივი, არამედ ნატურალურ ინგრედიენტს, ფერად ხნას დაუმატებთ.

უფრო ზუსტად, საშიშროება მოდის არა იმდენად ხნაში, არამედ უფრო იმ შენაერთებში, რომელიც ფერადი ხნის გამხსნელში იმალება. კერძოდ, საქმე ეხება დაავადებას, რომელსაც ლეიკემია ეწოდება!

სპეციალისტების განმარტებით, ძალიან ხშირად, გამხსნელში შედის სხვადასხვა სახის ნავთობპროდუქტი, რაც ხდება კიდეც საშიში დაავადების გამომწვევი მიზეზი.

აღნიშნული მოსაზრების დამადასტურებელია კვლევა, რომელიც არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში ჩატარდა, ქვეყანაში, სადაც ჩვეულებრივ სვირინგებს ხნით გაფერადებულ ნახატებს არჩევენ. სტატისტიკის თანახმად, ასეთი პროცედურების ჩატარების შემდეგ, ლეიკემია დაახლოებით 63 პროცენტს გამოუვლინდა.

***myjane.ru***

## გაციებისგან წარმატებით დაგიცავთ... გრძელი ცხვირი



როგორ ფიქრობთ, ცუდია თუ კარგია, როცა ადამიანს გრძელი ცხვირი აქვს? სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ეს შესანიშნავია! რატომ?

ადამიანები, რომლებსაც ბუნებამ გრძელი ცხვირი არგუნა, სხვადასხვა ინფექციის მიმართ გაცილებით გამძლეები ყოფილან, ვიდრე დანარჩენები.

სპეციალისტები დარწმუნებულები არიან: გრძელი ცხვირი თავის პატრონს გაციებისგან და გრიპის ვირუსგებისგან იცავს.

– რაც უფრო გრძელია ცხვირი, მით უფრო დიდია ბუნებრივი ბარიერი, რომელთა გადალახვაც ჰაერ-წვეთოვანი გზით მტვრის ნაწილაკებს ან ბაქტერიებს უხდებათ ხოლმე, – განმარტავენ ექიმები.

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით კვლევა აიოვას შტატის სამედიცინო უნივერსიტეტის სპეციალისტებმა ჩაატარეს – ექსპერიმენტის ფარგლებში მათ დაადგინეს, რომ შედარებით გრძელი ცხვირის პატრონის ორგანიზმში 10-15 პროცენტით ნაკლები ბაქტერია ხვდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთი ადამიანი ვირუსების მიმართ 10-15 პროცენტით გამძლეა, გააჩნია, სხეულის ორგანოს ზომებს.

მოკლედ, ნუღარასოდეს იგრძნობთ თავს უხერხულად ცხვირის ზომის გამო, რადგან ხომ ხედავთ, გრძელცხვირიანები უფრო ჯანმრთელები აღმოჩნდნენ?..

***factroom.ru***

## ლაბორატორიულ პირობებში ადამიანის სპერმის მიღება პირველად მოხერხდა



აღნიშნული მიღწევის ავტორები ბრიტანელი მეცნიერები არიან, რომელთა განმარტებითაც, ამიერიდან, მამაკაცური უნაყოფობის პრობლემის მოგვარება გაცილებით ადვილი გახდება. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ექსპერტების დიდი ნაწილი ბრიტანელების ენთუზიაზმს არ იზიარებს, რადგან მიიჩნევს, რომ ამ მიმართულებით კიდევ ბევრი დამატებითი კვლევის ჩატარებაა საჭირო.

ცნობილია, რომ ლაბორატორიულ პირობებში ადამიანის სპერმის მიღება მსოფლიოში პირველებმა ნიუკასლის სამედიცინო ინსტიტუტის სპეციალისტებმა შეძლეს, რისთვისაც მათ მამაკაცური ემბრიონის ღეროვანი უჯრედები გამოიყენეს, რომლის ასაკიც სულ რამდენიმე დღე იყო.

***globalscience.ru***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



1. პოეტი ნიკოლოზ (ტატო) ...
2. მხ/ფ „დიდოსტატის მარჯვენა“ ლეილა აბაშიძის როლი
3. გალაქტიკა ანდრომედას ...
4. ხის ჯიში
5. ჩინეთის დედაქალაქი
6. ინგლისის საფეხბურთო კლუბი
7. ძროხის ნაშიერი
8. წერტილოვანი პიგმენტაცია კანზე
9. გოგოლის მოთხრობა
10. რუსი მხატვარი
11. თამაში ...-პონგი
12. ადგილის გეოგრაფიული ნახაზი
13. მდინარე მოლდოვაში
14. პროვინცია კანადაში
15. თავისუფალი ფორმის ნაწარმოები
16. კომპიუტერის ანტივირუსი
17. იუდა ...
18. მხ/ფ „თამხუჭუჭა ...“
19. ხორთუმიანი ცხოველი
20. ლაშქარი
21. თათარაში ამოვლებ. ნიგვზები
22. მდინარე ჩრდ. ამერიკაში
23. მზის ღმერთი ეგვიპტეში
24. ჭადრაკის ფიგურა
25. ხე ჰევეას წვენი
26. „20000 ... წყალქვეშ“
27. ბულგაკოვი. „ოსტატი და ...“
28. სოფელი დუშეთის რაიონში
29. ჯარა
30. ბირმის დღევანდ. სახელწ.
31. სამგზავრო პლასტიკური ბარათი
32. ძველი ნახატის აღდგენა
33. მითიური მეომარი ქალი
34. „ნატვრის ხე“ მამაო ...
35. მომღერალი ... სოხაძე
36. ... ფრეინდლიხი
37. მოგზაური აბელ ... აღმოაჩინა კუნძული ავსტრალიასთან
38. ავტორბოლა
39. ქართული სამონასტრო ცენტრი ისტორიულ ტაოში
40. სემი, ქამი და ...
41. დაბა სვანეთში
42. მწვანე ადგილი უდაბნოში
43. მუსლიმანური სალოცავი
44. მოკრივე კასიუს ...
45. სტატორი და ...
46. ამოსახველებელი ნაყენი
47. დინამიტის გამომგონებელი
48. ტიბეტური ხარი
49. დუმბაძე. „თეთრი ...“
50. ჭავჭავაძე. „... ქვრივი“
51. მცენარე. ამზადებენ მწნილს
52. კლდიაშვილი. „... ღორები“
53. მხ/ფ „ეშმაკი და ... მცნება“
54. პლანეტა ვენერა, ანუ ...
55. ბოსტნის მავნებელი მწერი
56. დონ კიხოტ ...
57. სლოვაკეთის დედაქალაქი
58. უძველესი სახელმწ. აზიაში
59. მომღერალი რაფაელა ...
60. მუზების მფარველი ღმერთი
61. ლეშის მჭამელი ფრინველი
62. მხ/ფ „ჩარლის ...“
63. სახელმწიფო დაფინანსება
64. ჩეხოვი. „...№6“
65. ვულკანი ჰავაიზე
66. მთამსვლელი
67. დამცინავი ადამიანი
68. ... ცეტკინი
69. საქმეში ჩადებული წილი
70. ალკოჰოლური სითხე
71. ქვანახშირის აუზი გერმან.
72. დოსტოევსკის რომანი
73. მსახიობი ... ნიუმენი
74. როლანი. „... ბრუნიონი“
75. ჩოგბურთელი ... სამპრასი
76. მისი დედაქალაქია რომი
77. მომღერალი ბრიტნი ...
78. ცხენების ჯოგი
79. სახელმწიფო აზიაში
80. უნივერსიტეტი ინგლისში
81. თეთრი მინერალი
82. მხატვარი რაფაელ ...
83. ძველი ჰიტი: „კეკელა და ...“
84. მომლოცველი
85. მხ/ფ „... ტბა“
86. მსახიობი ... ფაროუ
87. მუსიკის მოყვარული
88. რეჟისორი სტივენ ...
89. ცული
90. მოჭადრაკე ... კუშნირი
91. აბზინდის არაყი
92. მსახიობი ჟან-ლუი ...
93. ხერხემლის ძვალი
94. ბრემ სტოკერის ნაწარმოები
95. ღვინის გამყიდველი ძველად
96. კუთხის საზომი ერთეული
97. ბალახი
98. აღლუმი
99. გუცკოვი. „ურიელ ...“
100. გამჭვირვალე ქაღალდი
101. ბალანი, რომელსაც ძველად კბილის ჯაგრისისათვის იყენებდნენ
102. ქიმიური ელემენტი
103. ევროპელ ებრაელთა ენა
104. ვულკანი სიცილიაზე
105. უდაბნო აფრიკაში
106. მაგნიტი
107. ... გაფრინდაშვილი
108. მოკრივე მაიკლ ...
109. ძვ. თბილისური მიმართვა
110. ფრანგი მხატვარი
111. მომღერალი ... მამალაძე
112. გამის ნოტი
113. ორელექტროდიანი მილაკი
114. ცხვრის ქონი
115. ნავსაყუდელი
116. სპორტული ინვენტარი
117. ცეცხლსასროლი იარაღი
118. კლავიშებიანი ინსტრუმენტი
119. ისტორიიდან: ... ბერია
120. ვივიენ ლი ფილმში „ლედი ...“
121. ნამცხვარი
122. ... ანანიაშვილი
123. მდინარე ინდოეთში
124. მსახიობი ... ჰარისი
125. აკრძალვა ეპიდემიის დროს
126. დაკოდილი ცხენი
127. დიუმა. „დედოფალი ...“
128. სოფელი რაჭაში
129. ... ფონ ბისმარკი
130. ცხოველი. ებრძვის კობრებს
131. „თხა და ...“
132. მხატვარი ... გრეკო
133. მიწის ფართობის ერთეული
134. მხ/ფ „... წყნეთელი“
135. კრივის ორთაბრძოლის ნაწილი გონგიდან გონგამდე
136. საეკლესიო კრება
137. ღრეობა
138. მწერალი ... დე მოპასანი
139. ქალაქი ავსტრალიაში
140. მშვილდით სასროლი ჯოხი
141. ამერიკული სამგზავრ. თვითმფრ.

პასუხები: 1. ბარათაშვილი; 2. ვარდისახარი; 3. ნისლეული; 4. ნეკერჩხალი; 5. პეკინი; 6. „ჩელსი“; 7. ხბო; 8. ხალი; 9. „ვიი“; 10. რერიხი; 11. პინგ; 12. რუკა; 13. დნესტრი; 14. კვებეკი; 15. ესე; 16. კასპერსკი; 17. ისკარიოტელი; 18. სიუ; 19. სპილო; 20. სპა; 21. ჩურჩხელა; 22. მისისიპი; 23. რა; 24. პაიკი; 25. კაუჩუკი; 26. ლიე; 27. მარგარიტა; 28. ბულაჩაური; 29. ჩარხი; 30. მიანმა; 31. მეტრომანი; 32. რესტავრაცია; 33. ამორძალი; 34. ოხროხინე; 35. ირმა; 36. ალისა; 37. ტასმანი; 38. რალი; 39. ოშკი; 40. იაფეტი; 41. მესტია; 42. ოაზისი; 43. მეჩეთი; 44. კლეი; 45. როტორი; 46. ალთე; 47. ნობელი; 48. იაკი; 49. ბაირაღები; 50. ოთარაანთ; 51. ღანძილი; 52. ბაკულას; 53. ათი; 54. ხარიპარია; 55. მახრა; 56. ლამანჩელი; 57. Bბრატისლავა; 58. ასურეთი; 59. კარა; 60. აპოლონი; 61. სვავი; 62. დეიდა; 63. დოტაცია; 64. პალატა; 65. კკილაუეა; 66. ალპინისტი; 67. ცინიკოსი; 68. კლარა; 69. პაი; 70. სპირტი; 71. რური; 72. „იდიოტი“; 73. პოლ; 74. კოლა; 75. პიტ; 76. იტალია; 77. სპირსი; 78. რემა; 79. ომანი; 80. კემბრიჯი; 81. ცარცი; 82. სანტი; 83. მარო; 84. პილიგრიმი; 85. პალიასტომის; 86. მია; 87. მელომანი; 88. სპილბერგი; 89. ნაჯახი; 90. ალა; 91. აბსენთი; 92. ტრენტინიანი; 93. მალა; 94. „დრაკულა“; 95. სირაჯი; 96. გრადუსი; 97. იონჯა; 98. პარადი; 99. აკოსტა; 100. კალკი; 101. ჯაგარი; 102. იოდი; 103. იდიში; 104. ეტნა; 105. კალაჰარი; 106. ანდამატი; 107. ნონა; 108. ტაისონი; 109. ტო; 110. კურბე; 111. ეკა; 112. მი; 113. დიოდი; 114. დუმა; 115. პირსი; 116. ჰანტელი; 117. ვალტერი; 118. პიანინო; 119. ლავრენტი; 120. ჰამილტონი; 121. ეკლერი; 122. ნინო; 123. ინდი; 124. ედ; 125. კარანტინი; 126. იაბო; 127. მარგო; 128. ირი; 129. ოტო; 130. მანგუსტი; 132. ელ; 133. არი; 134. მაია; 135. რაუნდი; 136. სინოდი; 137. ორგია; 128. გი; 139. მელბურნი; 140. ისარი; 141. „ბოინგი“. იკითხება: თაიგული.

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

საქართველოს რესპირაციული ასოციაციის იმერეთის რეგიონული ორგანიზაცია იუწყება ცნობილი თორაკალური ქირურგის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის

**პაატა გვეტაძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

## სიზარმაცე ადამიანს სიცოცხლეს... უხანგრძლივებს



პრინციპში, რატომაც არა? თუკი ადამიანი არ იმუშავებს, შესაბამისად, არც დაიღლება, რაც იმას ნიშნავს, რომ არც თავი ასტკივა, არც წელი და არც წნევის ცვალებადობა დატანჯავს.

თქვენ წარმოიდგინეთ, სიზარმაცე არა მხოლოდ ადამიანებზე ახდენს გავლენას, არამედ ფაუნის წარმომადგენლებზეც – შედარებით ზანტი ცხოველები უფრო დიდხანს ცოცხლობენ, ვიდრე უფრო სწრაფები.

ამ უჩვეულო მოვლენის ახსნა გერმანელ ფიზიოლოგს, მაქს რუნბერს ჯერ კიდევ 1908 წელს უცდია და საკმაოდ ლოგიკური დასკვნაც გამოუტანია: ნებისმიერი სასიცოცხლო პროცესის საზომი არის ენერგია.

– ყველა ცხოველი მაშინ ასრულებს განვითარებას, როცა თავისი მასის შესაფერის ენერგიას გახარჯავს, – ირწმუნებოდა მეცნიერი და საინტერესოა, რომ აღნიშნულ მოსაზრებას თანამედროვე მკვლევარებიც იზიარებენ. მაგალითად, ფიზიოლოგმა ფრანკფურტის უნივერსიტეტიდან, როლანდ პრიცინგერმა ხანგრძლივი კვლევის შედეგად დაადგინა, რომ რაც უფრო ნაკლებად ხდება ენერგიის გახარჯვა, სიბერეც მით უფრო გვიან მოდის.

მართალია, როლანდ პრიცინგერმა ექსპერიმენტები ფაუნის წარმომადგენლებზე ჩაატარა, მაგრამ ის მაინც ამბობს, რომ აღნიშნული ენერგეტიკული კანონი ნებისმიერ ცოცხალ არსებაზე ვრცელდება, მათ შორის, ცხადია, ადამიანზეც.

***mainfun.ru***

## კეთილისა და ბოროტის გარჩევა... ახალშობილსაც შეუძლია?



საკმაოდ საკვირველი ფენომენი აღმოაჩინეს ამერიკელმა მეცნიერებმა, რომლებიც ამტკიცებენ, რომ კეთილისა და ბოროტის გარჩევას უკვე 6 თვის ბავშვებიც ახერხებენ.

აღნიშნულის დადგენაში ამერიკელებს შემდეგი ექსპერიმენტი დაეხმარათ: ჩვილებს მათ აჩვენეს მულტფილმი, რომელშიც წითელი კვადრატი მთაზე ასვლას ლამობდა, ყვითელი ეხმარებოდა, მწვანე სამკუთხედი კი ხელს უშლიდა.

ექსპერიმენტის მეორე ეტაპზე ბავშვებს წინ ზუსტად ისეთივე ფიგურები დაუწყვეს, რომლებიც მულტფილმში იყო გამოყენებული – პატარების 80-მა პროცენტმა მწვანე სამკუთხედს ხელიც არ ახლო, 20-მა პროცენტმა კი დანარჩენი ფიგურებით უფრო დიდხანს ითამაშა, ვიდრე მწვანე სამკუთხედით.

საინტერესოა, რომ ამ ექსპერიმენტით ამერიკელებმა მეცნიერების იმ კატეგორიის მოსაზრება გააბათილეს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ დაბადებისას ბავშვები „ამორალურები“ არიან და მხოლოდ 2-3 წლის ასაკის შემდეგ იწყებენ ჩამოყალიბებას.

ეს ყველაფერი კარგი – გადასარევია, თუკი ადამიანი მართლა 6 თვის ასაკში იწყებს უკვე კეთილისა და ბოროტის გარჩევას, მაგრამ ზრდასრულ ასაკში რატომღა ერევა ბევრს „რამსები“?! ამაზე ამერიკელ მეცნიერებს აშკარად აღარ უფიქრიათ...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

***myjane.ru***

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**6 აგვისტო:** არაერთი მოულოდნელობა უნდა მოხდეს, რომელთაგან ყველაზე გასაოცარი თქვენთვის კარგად ნაცნობი ადამიანის უცნაური ქცევა იქნება. შეეცადეთ, სიტუაციის ადეკვატური იყოთ.

**კურო 22.04-21.05**

**6 აგვისტო:** დღეს რაიმე სახის რისკზე წასვლა, თუნდაც ყველაზე მინიმალურზეც, უაზრობა იქნება. ძალიან ფრთხილად და ყურადღებით იყავით.

**ტყუპები 22.05-21.06**

**6 აგვისტო:** ალბათ, დადგა დრო, ვიღაცა მიხვდეს, რა განძი ხართ. იქნებ თქვენი ღირსებები კიდევ ერთხელ წარმოგეჩინათ?

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**6 აგვისტო:** თუ ოდნავ მაინც დაეჭვდებით, რომ საკუთარ სიტყვებზე პასუხისგება არ შეგიძლიათ, უმჯობესია, ნაკლები ილაპარაკოთ. შეიძლება თქვენი სისულელის გამო შერცხვეთ.

**ლომი 23.07-22.08**

**6 აგვისტო:** ოპტიმისტურად იქნებით განწყობილი. ასე რომ, იმედი იქონიეთ, არც ისე ცუდადაა საქმე, როგორც თავიდან წარმოგედგინათ.

**ქალწული 23.08-22.09**

**6 აგვისტო:** დღეს მოხდება რაღაც მოვლენა, რომელიც შემთხვევითობად მოგეჩვენებათ. ეს ასე არ არის. უბრალოდ, მისი წინაპირობები ვერ შენიშნეთ.

**სასწორი 23.09-22.10**

**6 აგვისტო:** მოვლენები იმაზე სწრაფად ვითარდება, ვიდრე გინდოდათ. გაჯიუტება მოგინდებათ, მაგრამ ცდუნებას არ უნდა აჰყვეთ, ეს სიტუაციას უფრო დაძაბავს.

**მორიელი 23.10-21.11**

**6 აგვისტო:** მიზნის მიღწევამდე ერთი ნაბიჯიღა დაგრჩათ. შეეცადეთ, ეს ნაბიჯი მაქსიმალურად აკურატულად გადადგათ, რომ ყველაფერი თავიდან დასაწყები არ გახდეს.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**6 აგვისტო:** შეიძლება დღეს სრული დატვირთვით ამუშავება ვერ შეძლოთ, მუდმივად რაღაცა შეგიშლით ხელს. თუ თქვენი საქმის ეფექტურობა გაინტერესებთ, მეორე დღისთვის გადადეთ.

**თხის რქა 22.12-19.01**

**6 აგვისტო:** შეიძლება მოგზაურობაში წახვიდეთ, რომელიც თქვენთვის უფრო მნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე საბოლოო მიზანი. თანამგზავრებთან ყურადღებით იყავით.

**მერწყული 20.01-18.02**

**6 აგვისტო:** კომპლიმენტებზე ნუ დაიმორცხვებთ, დაიმსახურეთ. თუ ასე გააგრძელებთ, უფრო მეტს დაიმსახურებთ, მაგრამ შეიძლება მოგბეზრდეთ.

**თევზები 19.02-20.03**

**6 აგვისტო:** გაუაზრებელი მოქმედებებისთვის კარგი დღეა. ეს არანაირ კატასტროფას არ გამოიწვევს, გარდა გაწბილებისა, რომელიც მალე გადაგივლით.

## ლიმონის წვენი თირკმლებში კენჭების დაგროვებისგან დაგიცავთ



ერთხელ მაინც თუ გამოუცდია ადამიანს აუტანელი ტკივილები, რომელსაც კენჭის გავლა იწვევს, ის აუცილებლად გააკეთებს ყველაფერს, თუ, რა თქმა უნდა, მაზოხისტი არ არის, რომ მეორედ მსგავსი რამ აღარ დაუშვას.

და როგორც კალიფორნიის უნივერსიტეტის სპეციალისტები ამტკიცებენ, ამ უსიამოვნების თავიდან აცილების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალება ლიმონის ნატურალური წვენის სისტემატური მიღებაა.



კერძოდ, ახალი კვლევის შედეგად ამერიკელებმა დაადგინეს, რომ თირკმლების მკურნალობისთვის ნებისმიერ სითხეზე ეფექტური სწორედ ლიმონის წვენია.

– პაციენტებს, რომლებიც ლიმონის წვენს რეგულარულად სვამდნენ, თირკმლებში კენჭის გავლის დაგროვების დონე 1,00-დან 0,13-მდე შეუმცირდათ, – განმარტავენ კალიფორნიის უნივერსიტეტის სპეციალისტები და მიზეზად იმ ფაქტს ასახელებენ, რომ ლიმონი სავსეა ციტრატებით, ნივთიერებით, რომელიც მარილებსა და კენჭებს ძალიან ადვილად შლის.

***medkarta.com***

## ჩინელმა ახალგაზრდამ ენით წერა ისწავლა



ენის ტლიკინი კი გვაქვს გაგონილი, როგორ არა და ცოტ-ცოტა უცნაური რაღაცებიც, რომელსაც სწორედ ენით აკეთებენ, მაგრამ სხეულის ამ ორგანოს დახმარებით წერის შესახებ თქვენი არ ვიცით და ჩვენ ნამდვილად არაფერი გვქონდა გაგონილი.

როგორც ირკვევა, 24 წლის ჩინელმა ჟანგ იონგანგმა დიდი ხნის ვარჯიშის შემდეგ შეძლო და ენის წვერის ცხვირამდე მიტანა ისწავლა. მოგვიანებით კი იფიქრა, იქნებ, ენით წერაც გამომივიდესო და ახლა ამ მიმართულებით დაიწყო ვარჯიში.

ჰოდა, სასურველ შედეგს მან მალევე მიაღწია და დიდი პოპულარობაც მოიპოვა.

– არ მგონია, რომ სხვაზე გრძელი ენა მქონდეს, უბრალოდ, მე განსაკუთრებით მოხერხებული ვარ, – ამბობს ახალგაზრდა, რომელიც ენას მელანში აწობს და ჩინური იეროგლიფები ყოველგვარი შეცდომის გარეშე გამოჰყავს.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

***etotupo.ru***



გურიის ერთ-ერთ სოფელში ჩასული სტუმარი გლეხს შეხვდება და გზის სწავლებას სთხოვს.

– თუ შეიძლება, იქნებ მიმასწავლოთ, დათიკო ღლონტი სად ცხოვრობს?

– კი, ძამა! დამიგდე ყური: გოუყობი პირდაპირ, გადეიარ მინდორს. იქანე მუხასთან შემუუხოვ მარცხნივ, გაყობი ბილიკს, წყაროსთან შუუხოვ მარჯვნივ, იარ, იარ და რომ იფიქრებ, აქანა რა ჯანდაბა მინდაო, ე, იქინდა ჩოუხვიე მარცხნივ და მეორე მოსახლეა დათიკო. მიხთი?

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

ალია

» 211359457

კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაჭვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა–49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)

☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.57